



ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის
ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის
ასოციაციის შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის
ასოციაციის დღის წესრიგის განხორციელების
2017 წლის ანგარიში

მარტი

2018

სარჩევი

1.	ზოგადი მიმოხილვა.....	3
2.	პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში	5
3.	თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება.....	17
4.	ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები.....	24
5.	ეკონომიკური თანამშრომლობა.....	29
6.	თანამშრომლობის სხვა სფეროები.....	32
7.	ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი	45
8.	ინსტიტუციური თანამშრომლობა	48

1. ზოგადი მიმოხილვა

ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 2017 წელს, ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ. წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2017 წლის პირველი იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.¹

2017 წელს, ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ხელშეწყობისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ორი სხდომა.

2017 წლის 28 მარტიდან ძალაში შევიდა ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა, ხოლო 2017 წლის მაისში, საქართველო გახდა „ენერგეტიკული გაერთიანების“ სრულყოფილებიანი წევრი.

2017 წელს, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია 3 ახალი კანონი² და 40-ზე მეტი საკანონმდებლო ცვლილება. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა 50-მდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

2017 წლის 7-8 ივნისს, კონფერენციაზე „სამართლებრივი დაახლოების პარადიგმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფონზე“ გაიმართა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით შემუშავებული საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების სახელმძღვანელოს პრეზენტაცია.

2017 წლიდან, ფუნქციონირებს ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების მონიტორინგის ელექტრონული პროგრამა და შესაბამისი ინტერნეტ პორტალი (aa-monitoring.ge).

2017 წელს, საქართველოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში გამართულ 30-მდე სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში (პლატფორმებისა და პანელის შეხვედრები, სემინარები, ვორქშოპები, მინისტერიალი, კონფერენცია და სხვა) და 2017 წლის 24 ნოემბერს გამართულ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტში.

საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მისი შესრულების მონიტორინგის პროცესში.

¹ წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილი სცილდება საანგარიშო პერიოდს.

² „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“; საქართველოს კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“; „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონი

2017 წელს, ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, **საჯარო მოხელეებისათვის ჩატარდა ტრენინგები და სემინარები**. ასევე, გამოცდილების გაზიარების მიზნით, განხორციელდა სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის წევრ და კანდიდატ ქვეყნებში.

2017 წელს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის.

2017 წელს, განხორციელდა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხებზე **საინფორმაციო კამპანიის მეორე ფაზა**, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას უვიზო რეჟიმის პირობებში მათი უფლებებისა და მოვალეობის შესახებ.

ევროინტეგრაციის პროცესისა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების თაობაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტრატეგიულ კომუნიკაციას სამიზნე ჯგუფებთან და ზოგადად, საქართველოს მოსახლეობასთან.

ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის შემდგომი ინტენსიფიკაციისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმის დახვეწის, ასევე, ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის N 548 დადგენილებით ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

2.1 მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა

2017 წლის თებერვალში დასრულდა მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური რეფორმის მესამე ტალღა, რომლის ფარგლებშიც მკაფიოდ ჩამოყალიბდა მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიები, ახლებურად განისაზღვრა მოსამართლის თანამდებობაზე განწესების კრიტერიუმები და საკონკურსო წესები, რომელშიც ყველა კანდიდატი თანაბარ პირობებში მიიღებს მონაწილეობას. ამასთან, შემოღებულ იქნა მოსამართლედ განწესებაზე უარის გასაჩივრების მექანიზმი და საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების პრინციპი, გაიზარდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის ხარისხი, დაიხვეწა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი და გაფართოვდა საკასაციო დასაშვებობის საფუძვლები, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის ნიშნით.

2017 წლის ივნისში, ცვლილებები შევიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომელიც ეხება 3 წელზე მეტი გამოცდილების მქონე მოსამართლეების გამოსაცდელი ვადის გარეშე უვადოდ განწესების საკითხს (საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე).

2017 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებით, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნების შემდეგ ამოქმედდება, განისაზღვრა მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ განწესება, გამოსაცდელი ვადის გარეშე. უვადოდ დანიშვნის წესი გავრცელდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზეც.

2017 წლის მარტში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფარგლებში ამოქმედდა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს დისციპლინური პროცედურების ეფექტიანობას, სასამართლოს პრესტიჟისა და ავტორიტეტის სათანადო დაცვას და დისციპლინური სამართალწარმოების შესაბამისობას სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებთან.

რეგულარულად მიმდინარეობს განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების თაობაზე უწყებებისადმი რეკომენდაციების შემუშავება და ადგილობრივ დონეზე ხორციელდება ხარვეზების აღმოფხვრა.

განხორციელდა პროკურატურის, პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლების გადამზადება განრიდებისა და მედიაციის საკითხებზე.

სასამართლო მედიაციის პროექტის განვითარების მიზნით მემორანდუმი გაფორმდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციას შორის.

2017 წლის მაისში, მიღებული იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული წესის საფუძველზე შექმნილია ელექტრონული განაწილების პროგრამა, რომელიც 2017 წლის 1 ივლისიდან პილოტურ რეჟიმში ამოქმედდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 31 დეკემბრიდან - საქართველოს ყველა სასამართლოში.

2017 წლის 29 მაისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ **დამტკიცა საერთო სასამართლოების სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგია და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა**. განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა საფუძველზე გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად გრძელდება სასამართლო სისტემის რეფორმირება.

საერთაშორისო სტანდარტების და ადგილობრივი სასამართლო გადაწყვეტილებების თაობაზე პრაქტიკის უნიფიცირებისა და ქართულ ენაზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, უზენაეს სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის 2017 წლის თებერვალში გაფორმდა მემორანდუმი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო ბაზის (HUDOC) ქართული ინტერფეისის შექმნის თაობაზე, რის შედეგადაც ხელმისაწვდომი იქნება ევროპული სასამართლოს საძიებო სისტემა ქართულ ენაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოწვევით, საქართველოს ეწვია მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის (CEPEJ) შეფასების მისია. დელეგაციის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა მართლმსაჯულების სისტემაში მონაცემების შეგროვების სანდოობის გაზრდის უზრუნველყოფა და მონაცემების შეგროვების ეფექტური შიდა მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა.

მედიაციის ინსტიტუტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც განხილულია კერძო სამართლის რეფორმის საბჭოსა და მისი სამუშაო ჯგუფების სხდომებზე, ასევე ინვესტორთა საბჭოს წევრებთან. უახლოეს პერიოდში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი საქართველოს მთავრობას წარედგინება.

2017 წელს, განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში სამოქალაქო ოფისისა და საპოლიციო სამსახურების გამიჯვნა.

2017 წლის 12 აპრილს, **დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმა**.

2017 წლის 25 მაისს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით **დამტკიცდა პროკურატურის მუშაკთა ახალი ეთიკის კოდექსი**.

2017 წელს, შემუშავდა 9 რეკომენდაცია პროკურორების კომპეტენციაში შემავალ შემდეგ საკითხებზე: განაჩენის გადასინჯვის პროცედურები, საკასაციო საჩივრის შეტანა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე და 351¹-ე მუხლებით ქმედების კვალიფიკაცია, ნარკოტიკულ დანაშაულში ბრალდებული პირისთვის ნარკოტიკული

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონით განსაზღვრული უფლებების ჩამორთმევის თაობაზე საპროცესო შეთანხმებაში პროკურორის პოზიციის განსაზღვრა, გირაოს შეფარდების მოთხოვნა, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაცია, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება, ოჯახში ძალადობაზე და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე გამოძიების წარმოება, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და ტრეფიკინგის მსხვერპლებთან და ტრეფიკინგის შედეგად დაზარალებულებთან მოპყრობა.

2.2 ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

2017 წლის 15 მაისს, **დამტკიცდა წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა**. მიმდინარეობს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება.

წამებასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში **მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის თაობაზე**. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს სამთავრობო უწყებებს შორის კონსულტაციები.

2017 წლის 5 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება. სტამბოლის კონვენციასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და მასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2017 წლის 4 მაისს, ცვლილებები შევიდა 25-მდე საკანონმდებლო აქტში. **საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის პირველი ივნისიდან, ხოლო სტამბოლის კონვენცია ამოქმედდა 2017 წლის პირველი სექტემბრიდან**. ამასთან, 2017 წლის 12 ივნისს, შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, რომელიც ასევე ასრულებს სტამბოლის კონვენციის მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქციებს.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საკანონმდებლო სიახლეების გაცნობის მიზნით შეიქმნა სპეციალური ტრენინგ-მოდული.

სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პარტნიორ ორგანიზაციებთან და შსს აკადემიასთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ტრენინგთა ციკლის ორგანიზებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედ სამართლებრივ მექანიზმებზე. 2017 წელს 2000-მდე პოლიციელმა გაიარა სწავლების კურსი. ჩართულ უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავების მიზნით, ასევე იმართება მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრები რეგიონებსა და თბილისში.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფარგლებში მომსახურებ(ებ)ის მიმღებ პირთა წრეს 2017

წლის ივლისიდან დანამატა ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლები (დამოკიდებულ პირებთან ერთად). ამასთან, ფონდის შიდა რეგულაციებით განისაზღვრა როგორც მომსახურების სახეები, ასევე მომსახურებ(ებ)ის მიღების პირობები. რეგულარულად მიმდინარეობს ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობი საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისგან თავის დაცვის საშუალებებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ.

2017 წელს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების, კერძოდ თავშესაფრის მომსახურებებით ისარგებლა 307-მა პირმა, აქედან ფსიქოლოგიური მომსახურებით - 210-მა, სამედიცინო მომსახურებით 129 და იურიდიული მომსახურებით 111-მა პირმა. 2017 წელს, **კრიზისული ცენტრის მომსახურებებით** ისარგებლა 122-მა პირმა, აქედან ფსიქოლოგიური მომსახურებით - 96-მა პირმა, იურიდიული მომსახურებით -79-მა და სამედიცინო მომსახურებით 18-მა პირმა. 2017 წელს, გაუმჯობესდა სახელმწიფო ფონდის ცხელი ხაზის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაიზარდა ცხელი ხაზის - 116006 - მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, მარტიდან უკვე ხელმისაწვდომია არაქართულენოვანი მოსახლეობისთვისაც (კონსულტაციის მიღება შესაძლებელია 7 ენაზე). ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ცხელი ხაზის (116006) მომსახურებით ისარგებლა – 2135 ადამიანმა.

2017 წელს, სახალხო დამცველის მიერ განხორციელდა 15 საბავშვო ბაღის მონიტორინგი, 10 ვიზიტი არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და ქალთა დაწესებულებაში. მონიტორინგი განხორციელდა N 5 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ასევე ქუთაისში და ხაშურში, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებში. მომზადდა შესაბამისი ანგარიშები.

2017 წელს გამოიცა საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, რომელშიც ასახულია ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია. ამასთან, შემუშავდა სკოლების მონიტორინგის შედეგების სპეციალური ანგარიში.

პენიტენციურ სისტემაში სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომია დაწესებულებაში განთავსებული ყველა ბრალდებულისთვის /მსჯავრდებულისთვის. აივ-ინფექციით ინფიცირებულთა და ტუბერკულოზით დაავადებულთა 100%-სთვის ხელმისაწვდომია მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა. 2017 წელს, C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ანტივირუსულ მკურნალობაში ჩაერთო 1068 მსჯავრდებულ/ბრალდებული.

2017 წლის 1 ივნისს, მიღებულ იქნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლითაც დაინერგა არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა სრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

რისკისა და საჭიროებების შეფასების ფარგლებში, გამოვლინდა მსჯავრდებულთა პროფესიულ გადამზადებაში ჩართვის საჭიროება და დაიგეგმა გადამზადების ეტაპები. **2017**

წელს, 42 სხვადასხვა პროფესიულ და საგანმანათლებლო პროგრამაში სულ ჩართული იყო 1567 მსჯავრდებული.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N 3107 ბრძანების შესაბამისად, დამტკიცებულია 14-დან - 21 წლამდე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ახალი კონცეფციის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყო გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ექსპერტი. აღნიშნულ კონცეფციაზე მუშაობა მიმდინარეობს ექსპერტის რეკომენდაციების შესაბამისად.

საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2016-2019 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, წარმატებით მიმდინარეობს პროექტები, რომლებიც ემსახურება საქართველოში ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის განმტკიცებას.

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი ინიციატივის - „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ (PGG) ფარგლებში, წარმატებით განხორციელდა 2015-2017 წლების ფაზით გათვალისწინებული პროექტები.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ ახორციელებს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, წარმატებით განხორციელდა 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები:

- ❖ მომზადებულია „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის“ მომდინარეობის შესახებ წლიური ანგარიში;
- ❖ სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა 112-მა ბენეფიციარმა;
- ❖ დასაქმდა პროგრამაში ჩართული 149 ბენეფიციარი;
- ❖ ფუნქციონირებს სოციალური საწარმო - კაფეტერია „შეცვალე სცენარი“, სადაც რეგულარულად დასაქმებულია პროგრამის 8 ბენეფიციარი.

2.3 საჯარო სამსახურის რეფორმა და კორუფციასთან ბრძოლა

2017 წლის 1 ივლისიდან, ამოქმედდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომელმაც შექმნა კარიერულ პრინციპზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული სტაბილური, ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები.

2017 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ეფუძნება დამსახურებაზე დამკვიდრებული საჯარო სამსახურის განხორციელების პრინციპს. კანონი დეტალურად არეგულირებს შრომის ანაზღაურების კომპონენტების გაცემის სამართლებრივ საფუძვლებს და თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშების წესს.

განახლდა და 2017 წლის 24 აპრილს, ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე მიღებული იქნა 2017-2018 საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

აღნიშნული დოკუმენტები საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 27 სექტემბერს №443 დადგენილებით დაამტკიცა.

ახალი ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევების ანალიზს. დოკუმენტები ასახავს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული გამოწვევებისა და რისკების ანალიზს, შეფასებას თითოეულ რელევანტურ სფეროში და 16 ძირითადი პრიორიტეტის ფარგლებში მათი გადაჭრის ეფექტიან საშუალებებს.

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონპროექტი. კანონპროექტი განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს წევრ უწყებებს, ასევე სხვა დაინტერესებულ უწყებებს/პირებს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. მიმდინარეობს მიღებული კომენტარების დამუშავება და საბოლოო პროექტში ასახვა. კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს უახლოეს მომავალში წარედგინება.

2017 წლის 21 აპრილს, მიღებულ იქნა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონი.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და ლიტვის რესპუბლიკის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ“ 2016 წელს გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის კორუფციის პრევენციის მიმართულებით გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების კუთხით. 2017 წლის განმავლობაში გაიმართა მაღალი დონის ორმხრივი შეხვედრები საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ლიტვის რესპუბლიკის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებს შორის ქ. ვილნიუსსა და ქ. თბილისში, ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება.

2017 წლის განმავლობაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ, კორუფციის საკითხებზე გამართულ 30-მდე ღონისძიებაში.

2.4 თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

2017 წელს, ევროკავშირის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებში და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის მიერ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე გაკეთებული **383 განცხადებიდან საქართველო მიუერთდა 320 განცხადებას**. სანქციების ღონისძიებების მიმართულებით ევროკავშირის **21 განცხადებიდან საქართველო მიუერთდა 12 განცხადებას**.

საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში, 2017 წლის 17 თებერვალს, ქ. სტამბოლში გაიმართა ეკონომიკის მინისტრების შეხვედრა და

სამმხრივი ბიზნეს-ფორუმი. 2017 წლის 23 მაისს, ქ. ბათუმში ჩატარდა თავდაცვის მინისტრების შეხვედრა.

2017 წლის 27 მარტს, ქ. კიევში სუამ-ის პრემიერ-მინისტრების შეხვედრის ფარგლებში მიღებულ იქნა სუამ-ის წევრი ქვეყნების მთავრობათა ხელმძღვანელების ერთობლივი განცხადება და ხელი მოეწერა ორ დოკუმენტს:

- ❖ „სუამ-ის მონაწილე სახელმწიფოთა შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ 2002 წლის 20 ივლისის შეთანხმების ხელშემკვერელ მხარეთა მოქმედებების მაკოორდინირებელი სამუშაო ორგანოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ოქმი;
- ❖ „სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა საბაჟო ადმინისტრაციებს შორის სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ცალკეული შედეგების ურთიერთალიარების შესახებ“ ოქმი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №202 დადგენილებით დამტკიცდა თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი 2017-2021 წლებისთვის.

2017 წლის თებერვალში, განხორციელდა ოცეულის (35ს/მ) გაგზავნა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიაში (EUTM RCA). მეორე როტაცია განხორციელდა 2017 წლის აგვისტოში. 2017 წლის ივნისში, განხორციელდა მალიში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM Mali) მე-4 გეგმიური როტაცია. მისიაში მონაწილეობის დასრულება დაგეგმილია 2018 წლის მაისში.

2017 წლის 17 ივლისს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაიმართა ორმხრივი კონსულტაციები თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, რომლის ფარგლებშიც განახლდა უწყებათაშორისი სამუშაო გეგმა და განისაზღვრა აქტივობები 2018 წლისათვის.

2017 წლის 11 ოქტომბერს, ქ. თბილისში საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე სტრატეგიული დიალოგის პირველი შეხვედრა გაიმართა.

2017 წელს გამართულ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 39-ე, და მე-40, 41-ე და 42-ე რაუნდებზე, ქართველი მონაწილეები აქტიურად აყენებდნენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხს. საქართველო ხაზს უსვამდა აღნიშნული ჰუმანიტარული საკითხის, როგორც ჟენევის ფორმატის ერთ-ერთი ქვაკუთხედის, არსებითი განხილვისა და მასზე პროგრესის მიღწევის აუცილებლობას.

2017 წლის 24 მარტს, ქ. ჟენევაში გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭომ, 34-ე სესიის ფარგლებში მიიღო რეზოლუცია „თანამშრომლობა საქართველოსთან“. რეზოლუციის შესაბამისად, 21 ივნისს, გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს 35-ე სესიის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა გაერო-ს უმაღლესი კომისრის ოფისმა წარმოადგინა ზეპირი ანგარიში საქართველოში, მათ შორის მის ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

2017 წლის 1 ივნისს, გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 71-ე სესიაზე კიდევ ერთხელ მიიღო რეზოლუცია „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, რითიც კვლავ დაადასტურა დევნილთა ფუნდამენტური უფლებები, უპირველესად, საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლება. აღსანიშნავია, რომ რეზოლუციის მხარდამჭერთა რაოდენობა კვლავ გაიზარდა 80-მდე, მოწინააღმდეგეთა რაოდენობა შემცირდა 14-მდე, ასევე შემცირდა თავშეკავებულთა რაოდენობა 61-მდე.

2017 წლის 5-9 ივლისს, ქ.მინსკში, ბელარუსის რესპუბლიკაში გაიმართა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ზაფხულის სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ. შეხვედრაზე მიღებულ იქნა მინსკის დეკლარაცია, სადაც აისახა საქართველოს დელეგაციის მიერ ინიცირებული ცვლილებები.

საქართველო აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან საოკუპაციო ხაზზე კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისა და რუსეთის პროვოკაციულ ქმედებებთან გამკლავების მიზნით. პარტნიორ ქვეყნებთან, ისევე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველო მუდმივად აყენებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოკუპირებულ რეგიონებში შესვლისა და მანდატის სრულად განხორციელების აუცილებლობას.

ჩატარდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის სხვადასხვა დონის არაერთი შეხვედრა თუ კონსულტაცია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზებთან დაკავშირებით, ამ პროცესში ევროკავშირის როლის გააქტიურების საკითხზე, ასოცირების შეთანხმებიდან და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციიდან გამომდინარე სარგებელის ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები მოსახლეობისთვის გაზიარების უზრუნველყოფის მიზნით გზების შესამუშავებლად, ასევე საქართველოს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის და ევროკავშირის არალიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის ჭრილში ორ მხარეს შორის კოორდინაციის შემდგომი გაძლიერების მიზნით.

ევროკავშირის მხრიდან გაკეთდა არაერთი განცხადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ რუსეთის უკანონო ქმედებებსა და ადგილზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ევროკავშირი გამოეხმაურა აფხაზეთის რეგიონში ჩატარებულ ე.წ. არჩევნებს, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დახურვას, სოხუმში რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტს და სხვა.

ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შექმნა იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ურთიერთობებში. საერთაშორისო თანამეგობრობას რეგულარულად მიეწოდებოდა ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობისა და ადგილზე საერთაშორისო ყოფნის აუცილებლობის შესახებ.

2017 წელს, საერთაშორისო თანამეგობრობას გაერო-ს სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის გაერო-ს უშიშროების საბჭოს თემატურ დებატებსა და ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომებზე, აგრეთვე ეუთო-ს მუდმივი საბჭოსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომებზე, რეგულარულად მიეწოდებოდა ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობასა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 21 თებერვალს, საგარეო საქმეთა მინისტრმა მონაწილეობა მიიღო გაერო-ს უშიშროების საბჭოს ღია დებატებში, თემაზე: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფთხოების შენარჩუნება - კონფლიქტები ევროპაში.

გაგრძელდა ინტენსიური მუშაობა რუსეთის მხრიდან 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების უზრუნველსაყოფად და ამ მიზნით, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მობილიზებისთვის. საერთაშორისო საზოგადოებას მუდმივად მიეწოდებოდა ინფორმაცია რუსეთის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევის ფაქტებზე და მიმდინარეობდა მუშაობა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სათანადო რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით. რუსეთის მიმართ მოწოდება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებისაკენ არაერთხელ იქნა ასახული როგორც პარტნიორი ქვეყნების განცხადებებში, ანგარიშებსა და მათი საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებულ რეზოლუციებში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში (გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, ნატო) მიღებულ რეზოლუციებში, გადაწყვეტილებებსა თუ ანგარიშებში. აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წლის განმავლობაში გამართულ ოთხივე რაუნდზე. ტარდებოდა აქტიური კონსულტაციები აშშ-სთან და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან, ისევე, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ორმხრივ დონეზე, მათი მხარდაჭერის მობილიზების მიზნით.

2017 წლის 28 მარტს, გაერო-სთან უკრაინის დელეგაციის ინიციატივით, **უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება.** ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში მიმდინარე განვითარებებზე, კერძოდ, დაგმოხილ იქნა აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. არჩევნები, 2017 წლის 9 აპრილს დაგეგმილი ე.წ. „რეფერენდუმი“ ცხინვალის რეგიონის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით და აფხაზეთის რეგიონში ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დახურვა, რაც უარყოფითად მოქმედებს ადგილზე ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე, ყურადღება გამახვილდა რუსეთისა და ცხინვალის რეგიონის სამხედრო შენაერთების შერწყმასა და ოკუპირებულ რეგიონებში გართულებულ ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე. დახურულ სხდომაზე თავიანთ განცხადებებში გამომსვლელთა უმრავლესობამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევი მხარდაჭერა გამოხატა.

2017 წლის 3 მაისს, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 1285-ე სხდომაზე, დღის წესრიგის საკითხის „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“ ფარგლებში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება. დოკუმენტში კიდევ ერთხელ გამოიხატა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და ყურადღება გამახვილდა რუსეთის, როგორც კონფლიქტის მხარის

საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისგებლობაზე, რომელიც ახორციელებს ფაქტობრივ კონტროლს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

2017 წელს, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) 21 შეხვედრა გაიმართა, კერძოდ, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით გორის რაიონის სოფელ ერგნეთში - 11, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, ოკუპირებულ ქ. გალში - 10. აღნიშნული ფორმატის ფარგლებში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააყენეს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ რეგიონში დაფიქსირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის, გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებული პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის, მკვლელობისა და ქონების მისაკუთრების შემთხვევების, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის, ე.წ. გადასასვლელების დახურვის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების განადგურების, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ რეგიონში ჩატარებული სამხედრო წვრთნების, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცის დარღვევის და სხვა. აღსანიშნავია, რომ IPRM-ის ფარგლებში გამართული ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, 2017 წელს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდნენ საქართველოს მოქალაქეები გიორგი გიუნაშვილი და გიორგი ლუკავა.

საოკუპაციო ხაზის გასწვრივ დაფიქსირებული ინციდენტების უმოკლეს ვადაში გარკვევა/განმუხტვის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) უშუალო ჩართულობით მოქმედი „ცხელი ხაზი“ 2017 წლის განმავლობაში 610 საკითხზე 1645-ჯერ გააქტიურდა. მათ შორის, ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით - 1111-ჯერ, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 534-ჯერ.

2017 წლის 30 ივნისს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარტმა შეხვედრა გამართა აფხაზეთის რეგიონში **Abkhazia Strategic Partnership (ASP) ფარგლებში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან**, სადაც განიხილებოდა აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობა, მიმდინარე პროექტები, არსებული გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები. საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით დაფინანსდა და დაიწყო დამატებით 66 პროექტი.

გრძელდებოდა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის მიერ უფასო, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის“ ფარგლებში. 2017 წელს, ამ პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა ასევე მიეცათ გალის რაიონში მცხოვრებ პირებს.

2017 წელს, აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა იმუნიზაციის ოთხი კვარტლის ვაქცინები, B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინები, C ჰეპატიტის ტესტები და დიაბეტის საწინააღმდეგო წამლები, ტუბერკულოზის და შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, აფხაზეთის რეგიონს პერიოდულად გადაეცემა სასწრაფო დახმარების მანქანები, სამედიცინო ინვენტარი, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების ნივთი, ასევე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ვეტერინარული ვაქცინები. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მიზნით, აფხაზეთის რეგიონს გადაეცა შესაწამლი ტექნიკა, ფერომონები, სპეციალური აღჭურვილობა და საჭირო პესტიციდები. თხილის მავნებლებთან ბრძოლის მიზნით აფხაზეთის რეგიონს გადაეცა შესაწამლი ტექნიკა და საჭირო პესტიციდები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლები აგრძელებენ **C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვას და სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღებას**. 2017 წლის მარტში, ზუგდიდში გაიხსნა C ჰეპატიტის მართვის ცენტრი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს ემსახურება. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი გახდა სტატუს ნეიტრალური დოკუმენტების საფუძველზე.

საქართველოს მთავრობა განაგრძობს „1+4“ პროგრამის განხორციელებას, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მათ შორის აფხაზებსა და ოსებს, გამარტივებული პროცედურებით ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარების გზით, რასაც თან ერთვის ქართულ ენაში მოსამზადებელი ერთწლიანი კურსი, ხოლო შემდეგ ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამა სტუდენტის მიერ შერჩეულ ფაკულტეტზე. "1+4" პროგრამის ფარგლებში სწავლა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების პროცედურების გამარტივების მიზნით, **2017 წლის 11 იანვარს ცვლილებები განხორციელდა „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის №1067 ბრძანებაში**. ცვლილებების თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს უმაღლესი განათლების აღიარების მიღება შეუძლიათ სათანადო განაცხადით, ელექტრონულად, მათ შორის აფხაზურ ენაზე, ან საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით, მოწმეების წარმოდგენის, საქართველოს მოქალაქეობის აღებისა და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მგზავრობის გარეშე.

2017 წლის 27 ოქტომბერს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, შეიქმნა აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა. შედეგად, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე იგეგმება აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დაფუძნება.

მომზადდა ახალი სამშვიდობო ინიციატივები გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის, როგორც სახელმწიფოებრივ სივრცეში, ისე საზღვარგარეთ განათლების შესაძლებლობების განვითარების და მათ მიერ საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღების პროცედურების

გამარტივების შესახებ. ინიციატივები ეფუძნება აფხაზეთის რეგიონსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებსა და საჭიროებებს, ასევე, ემსახურება საზოგადოებებს შორის დიალოგის, შერიგებისა და ნდობის აღდგენის მიზნებს.

2017 წელს, ევროპის საბჭომ განახორციელა ორმხრივი ნდობის აღდგენის 8 პროექტი. ამასთან, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლებმა უშუალოდ მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ორგანიზაციების ნდობის აღდგენის 14 პროექტში/შეხვედრაში.

3. თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება

საანგარიშო პერიოდში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ჩაატარა 114 ორგანიზაციის ინსპექტირება. შემოწმდა 22 საჯარო დაწესებულება და 92 კერძო ორგანიზაცია. შედეგად გამოვლინდა სამართალდარღვევის 127 ფაქტი, 63 შემთხვევაში მოხდა ჯარიმის დაკისრება, 40 შემთხვევაში გაიცა გაფრთხილება, გაიცა 200-ზე მეტი დავალება/რეკომენდაცია.

2017 წელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში შემოსული 240 განცხადების შესწავლის შედეგად გამოვლინდა სამართალდარღვევის 147 ფაქტი. 13 შემთხვევაში სამართალდამრღვევს მიეცა გაფრთხილება, 82 ორგანიზაციას დაეკისრა ჯარიმა.

საანგარიშო პერიოდში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ საჯარო დაწესებულებებისთვის, კერძო დაწესებულებებისთვის და ფიზიკური პირებისათვის გაწეული კონსულტაციების რაოდენობამ შეადგინა 4,801.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა მოახდინა საქართველოს კანონმდებლობის და ევროკავშირის ახალი რეგულაციის (GDPR) შედარებითი ანალიზი და მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებისთვის წინადადებების მომზადებაზე.

ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოსთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, 2017 წლის 22-23 მაისს, ევროკავშირის სამართლებრივი დახმარების სააგენტოს შემფასებელი მისიის ვიზიტის ფარგლებში საქართველომ უმასპინძლა EUROJUST-ის ექსპერტთა მისიას, რომელიც მიზნად ისახავდა EUROJUST-ის რეკომენდაციათა იმპლემენტაციის პროცესისა და საქართველოში მოქმედი პერსონალურ მონაცემთა დაცვის საქმიანობის შეფასებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (FRONTEX) შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ სამუშაო შეთანხმების ხელმოსაწერად.

განხორციელდა საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის საბაზისო შეფასება და მისი სამოქმედო გეგმის 2016 წლის აქტივობების შესრულების შეფასება არსებული ინდიკატორების მიხედვით. დასრულდა მიგრაციის სახელმძღვანელოს რედაქტირების პროცესი და აღნიშნული სახელმძღვანელო იბეჭდება.

2017 წლის მიგრაციის პროფილისთვის შეგროვებულია საჭირო სტატისტიკური მონაცემები, როგორც სახელმწიფო უწყებებიდან, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების ღია წყაროებიდან. მოცემული ეტაპისთვის პროფილის ემიგრაციის ნაწილზე (A2) დასრულებულია მუშაობა და მიმდინარეობს სხვა ნაწილების ტექსტის მომზადება.

გრძელდება საქართველოსა და ევროკავშირის შორის მიგრაციისა და მობილობის სფეროში თანამშრომლობა „პარტნიორობა მობილობისთვის“ ინიციატივის ფარგლებში. 2017 წლის 9

ივნისს, ქ. თბილისში გაიმართა „პარტნიორობა მობილობისთვის“ ფორმატით გათვალისწინებული ადგილობრივი თანამშრომლობის პლატფორმის შეხვედრა. შეხვედრაზე განხილულ იქნა „პარტნიორობა მობილობისთვის“ ინიციატივის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები და თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები. 2017 წლის მონაცემებით, „პარტნიორობა მობილობისთვის“ თანამშრომლობის საკოორდინაციო მატრიცა 53 პროექტს აერთიანებს, რომელთაგან 43 პროექტი უკვე დასრულებულია, 7 პროექტი ამჟამად მიმდინარეობს, ხოლო 3 დაგეგმვის ეტაპზეა.

მომზადდა 2017 წლის მიგრაციის პროფილის პირველი კონსოლიდირებული სამუშაო ვერსია და დოკუმენტი შესათანხმებლად გაიგზავნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (მსსკ) წევრ უწყებებში. მსსკ-ს წევრ უწყებებში დოკუმენტის შინაარსის და მასში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების შეთანხმების შემდეგ, პროფილი საბოლოო სახით ჩამოყალიბდა და მისი პრეზენტაცია გაიმართა 2017 წლის 4 დეკემბერს, მსსკ-ს მე-19 სხდომაზე. ამავე სხდომაზე კომისიის წევრების მიერ საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი ერთხმად იქნა მიღებული და გამოქვეყნდა, როგორც მსსკ-ს, ასევე მისი პარტნიორი ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე.

2017 წლის პირველი იანვრიდან 1 ოქტომბრამდე, გაუქმდა 167 407 არაბიომეტრიული პასპორტი. 2017 წლის მდგომარეობით, 452 767 აქტიური არაბიომეტრიული პასპორტი აქვს 448 951 პირს. 234 764 პირზე გაიცა 235 025 ბიომეტრიული პასპორტი და არსებული მდგომარეობით, 1 118 260 აქტიური ბიომეტრიული პასპორტი აქვს 1 108 620 პირს.

სახელმწიფო საზღვრის გაძლიერების ნაწილში „BOMS“ პროექტის 4 სასაზღვრო სექტორის („სარფი“, „კირნათი“, „ვალე“ და „კარწახი“) დასაცავ მონაკვეთებზე ელექტრონული დაკვირვების სისტემის მოწყობისათვის საჭირო ყველა სამუშაო დასრულებულია. სისტემა გაშვებულია და ფუნქციონირებს სატესტო რეჟიმში.

2017 წლის 23 თებერვალს, ხელი მოეწერა საქართველოსა და ლატვიის რესპუბლიკას შორის სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის 2017 წლის გეგმას.

2017 წლის 18-22 აპრილს, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს სანაპირო დაცვის დეპარტამენტსა და თურქეთის რესპუბლიკის სანაპირო დაცვის სარდლობას შორის შედგა ორმხრივი სამუშაო შეხვედრა და ხელი მოეწერა ორმხრივი თანამშრომლობის ოქმს.

2017 წლის 1 თებერვალს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“.

2017 წლის მდგომარეობით, რეადმისიის მართვის ელექტრონულ პროგრამაში ჩაერთო ლატვიის რესპუბლიკა. პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ესტონეთის რესპუბლიკასთან, კვიპროსის რესპუბლიკასთან, პორტუგალიასთან, დანიის სამეფოსთან, შვედეთის სამეფოსთან და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსთან.

2017 წელს, სულ განხილულ იქნა რეადმისიის განაცხადი 2142 პირზე. აქედან, დადებითად დასრულდა 2102, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 40 პირზე (1.9%) .

2017 წლის 22 სექტემბერს, ხელი მოეწერა „საქართველოსა და ისლანდიას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას. მესამე ქვეყნებთან რეადმისიის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, საქართველოს მთავრობას განსახილველად წარედგინა რეადმისიის ხელშეკრულების პროექტები ავღანეთთან, კამერუნთან, კოტდ'ივუართან, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ერაყთან, გამბიასთან, განასთან, ლიბანთან, სომალისთან და ტუნისთან. საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ, მოხდება მესამე ქვეყნებთან აღნიშნული რეადმისიის შეთანხმებების ინიცირება.

მესამე წელია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით **ხორციელდება პროგრამა „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება“** .

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საპილოტე პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვა. შემუშავებულია საპილოტე პროგრამის განვითარებისა და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვის სამოქმედო გეგმის პროექტი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 მაისის №275 ბრძანების საფუძველზე, **დამტკიცდა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფცია**.

მომზადებულია **საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი იარაღის უკანონო ბრუნვის აღკვეთის შესახებ**.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ხელი მოეწერა შემდეგ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს:

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის მთავრობას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 7 თებერვალს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 22 ივნისს, არ არის ძალაში;
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. პეკინში 2017 წლის 25 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
- ოქმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელთა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე განზრახვულებების თაობაზე“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 30 იანვარს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 21 აპრილს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს შორის“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 19 მაისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტსა და იტალიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კარაბინიერთა კორპუსს შორის“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 27 ივნისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ესტონეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. ტალინში 2017 წლის 7 ივლისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა პარტნიორ სახელმწიფოებთან და შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან.

2017 წლის 27 ივნისს, ხელი მოეწერა „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ტერორისტების შემოწმების ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებას“.

2017 წლის 1 თებერვლიდან ძალაში შევიდა შეთანხმება „საქართველოსა და ევროპის კავშირის შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ“.

2017 წლის 9 მაისს, ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის დაცვის უსაფრთხოების ზომების შესახებ შეთანხმებას“ (GSOIA). ამასთან, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებები გაფორმდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან (2017 წლის 16 ნოემბერს) და ბელარუსის რესპუბლიკასთან (2017 წლის 16 დეკემბერს).

2017 წლის 4 აპრილს, ქ. თბილისში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2017 წლის 15 ივნისს და ძალაში შევიდა 31 ივლისს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის, „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“, ფარგლებში, რომელსაც საქართველოში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს, შეიმუშავა არამართლზომიერად

გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებისა და ბავშვთან ურთიერთობის უფლების განხორციელების საქმეების მიმართვიანობისა და აღსრულების მექანიზმის პროექტი და პრაქტიკული სახელმძღვანელო. დოკუმენტებმა გაიარეს საერთაშორისო ექსპერტიზა და ამჟამად მიმდინარეობს საბოლოო დახვეწის პროცესი.

საქართველოს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობის ევროკავშირის მეოთხე დირექტივასთან, აგრეთვე FATF-ისა და MONEYVAL-ის რეკომენდაციებთან შემდგომი დაახლოების მიზნით, საქართველოს მთავრობას განსახილველად წარედგინა კანონპროექტი - საქართველოს კანონში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ პოლიტიკურად აქტიურ პირებთან დაკავშირებული ცვლილებების თაობაზე.

საქართველოს კანონმდებლობის 2005 წლის 26 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/60/EC ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე დირექტივასთან დაახლოების მიზნით, მომზადებულია „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პაკეტი.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა შეიმუშავა „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) ანგარიშის და 2015 წლის 20 მაისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის N 2015/849 მოთხოვნათა შესაბამისად.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით, ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო მუშაობს სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედურ ანგარიშზე.

საანგარიშო პერიოდში, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო აქტიურად ახორციელებდა ქბრბ ეროვნული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ხელშეწყობას და უწყებებს შორის შესაბამისი აქტივობების კოორდინაციას. სამდივნოს ორგანიზებით, 2017 წელს გაიმართა რამდენიმე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. ასევე, 5 ივლისს ჩატარდა საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელზეც წარმოდგენილი იყო სამოქმედო გეგმის შესრულების ერთი წლის ანგარიში, ხოლო 3 ნოემბერს, ქ. თბილისში გაიმართა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა ქბრბ უსაფრთხოების საკითხებზე, რისთვისაც მომზადდა ეროვნულ დონეზე არსებული საჭიროებების შეფასების დოკუმენტი.

2017 წლის 19-21 აპრილს და 15-17 ნოემბერს, აშშ-ის მხარდაჭერით, ქ. თბილისში, გაიმართა ერთობლივი უწყებათაშორისი წვრთნები ქბრბ რეაგირების სფეროში. თითოეულ წვრთნაში

მონაწილეობა მიიღო ქბრბ საკითხებზე მომუშავე შესაბამისი უწყებების 60-მა წარმომადგენელმა.

2017 წელს დასრულდა ევროკავშირის სამწლიანი რეგიონული პროექტი „**ქბრბ პირველადი რეაგირების შესაძლებლობებისა და თანამშრომლობის გაძლიერება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში, მოლდოვასა და უკრაინაში**“. პროექტის ფარგლებში, 5-7 ივნისს, ქ. თბილისში ჩატარდა თეორიული სამაგიდო სწავლება და პრაქტიკული სავლე სავარჯიშო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შესაბამისი უწყებების ოცდაათამდე წარმომადგენელმა. ასევე, 2017 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში გაიმართა საქართველო-სომხეთის ქვე-რეგიონული სწავლებები ერთობლივი რეაგირების საკითხებზე. პროექტის ფარგლებში, სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს გადაეცა ქბრბ ინციდენტებზე რეაგირებისთვის საჭირო შესაბამისი აღჭურვილობა.

2017 წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, სამ ეტაპად ჩატარდა ტრენინგი სავლე **ბიოუსაფრთხოების** საკითხებთან დაკავშირებით. ქვეყნის მასშტაბით შეირჩა და სრულად გადამზადდა ბიოუსაფრთხოების 154 სპეციალისტი.

2017 წელს, დაიწყო ევროკავშირის პროექტის „**ქბრბ ინციდენტების გამოძიებისას დანაშაულის ადგილზე კრიმინალისტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება**“ - განხორციელება, რომლის მიზანია საექსპერტო-კრიმინალისტიკური ბაზის მატერიალურ-ტექნიკური გაუმჯობესება, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ქბრბ დანაშაულის გამოძიებასთან მიმართებაში არსებული კანონმდებლობისა და სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავება და დახვეწა და სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე. 2017 წლის 30 მაისს-1 ივნისს, ქ. ბელგრადში, ჩატარდა პროექტის გახსნითი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 26 ივლისის №26 ბრძანებით **დამტკიცდა „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“ ნორმატიული აქტი.**

საქართველოსა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს 2018-2021 წლებში რადიაციული წყაროების მართვის შესახებ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას, 2017 წლის 6 აპრილს, ქ. თბილისში გაიმართა შეხვედრა საქართველოსა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებს შორის.

საანგარიშო პერიოდში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ქბრბ ინსტრუქტორების მიერ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ბრიგადის სწრაფი რეაგირების რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ასეულს ჩაუტარდა საბაზისო სწავლების პირველი და მეორე ეტაპი. გადამზადდა ორმოცდაათი სამხედრო პირი.

საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის და უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის ორგანიზებით, ქ. კიევში (უკრაინა), 2017 წლის 27–29 სექტემბერს გამართულ სემინარში, რომლის მიზანს წარმოადგენდა სუამ-ის ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება ბირთვული მასალების კრიმინალისტიკის საკითხებზე ბირთვული და სხვა რადიოაქტიური მასალების კონტრაბანდის სამართლებრივი დევნის აღსრულების უზრუნველსაყოფად.

„ვერცხლისწყლის შესახებ“ მინამატას კონვენციის რატიფიცირებისა და შემდგომში აღსრულების შესაძლებლობის გაძლიერების მიზნით, შემუშავდა მინამატას პირველადი შეფასების ანგარიში, რაც საქართველოს დაეხმარება ეროვნულ დონეზე გაზარდოს შესაძლებლობები იმ საკითხებში, რომლებიც უკავშირდება ვერცხლისწყლის სათანადო მართვას, ვერცხლისწყლის ზიანის მომტანი შედეგებისგან ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით.

4. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

2016 წლის მაისიდან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მოქმედებს მინისტრის სათათბირო ორგანო DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ბიზნეს ასოციაციების, დამსაქმებელთა ასოციაციების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მრჩეველთა ჯგუფი განიხილავს DCFTA-ის ფარგლებში დაგეგმილ და განხორციელებულ რეფორმებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს DCFTA-ის იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით. 2017 წელს ჩატარდა საკონსულტაციო ჯგუფის 2 შეხვედრა.

მიმდინარე წელს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, შეიქმნა DCFTA-ის შესახებ ვებ-გვერდი, სადაც თავმოყრილია DCFTA-თან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია, როგორც ვალდებულებების, ასევე ევროკავშირის ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნებისა და საერთაშორისო მხარდაჭერის შესახებ. გარდა ამისა, ვებ-გვერდზე თავსდება DCFTA-ისთან დაკავშირებული ყველა კანონისა და რეგულაციის პროექტი, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ კომენტარების გაკეთება მათ დამტკიცებამდე.

შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, თბილისსა და რეგიონებში ხორციელდება საინფორმაციო კამპანია. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ევროკავშირის პროექტის "ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობა" ორგანიზებით, კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ფარგლებში, ადგილობრივ მეწარმეებთან და ფერმერებთან გაიმართა 7 შეხვედრა (თელავში, გორში, მცხეთაში, ზუგდიდში, ოზურგეთში, აჭარაში შუახევის მუნიციპალიტეტში და სვანეთში). შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 700-ზე მეტმა მეწარმემ/ფერმერმა.

2017 წლის მდგომარეობით, სსიპ-მა „აწარმოე საქართველოში“, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, განახორციელა დამატებით 86 საწარმოს თანადაფინანსება, რამაც დამატებით 2900 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა განაპირობა. გაცემული 86 ახალი პროექტის დაფინანსებისათვის სესხების ჯამურმა მოცულობამ - ლ 115,7 მილიონი, ხოლო ჯამურმა ინვესტიციამ - ლ 256.7 მილიონი შეადგინა. (თანადაფინანსება განხორციელდა შემდეგ დარგებში: სამშენებლო მასალების წარმოება; ტექსტილის წარმოება; საკვები პროდუქტების წარმოება; პოლიეთილენის წარმოება; სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავება; ქაღალდის და მუყაოს წარმოება; ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება; ელექტრონული მოწყობილობების წარმოება; ლითონის წარმოება).

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, სსიპ - „აწარმოე საქართველოში“ აქტიურად უწყობს ხელს ევროპის მეწარმეთა ქსელში (EEN) ქართული კომპანიების ინტეგრაციას სხვადასხვა სერვისების დანერგვისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მეშვეობით. 2017 წლის მდგომარეობით, ქსელში განთავსდა 6 ქართული კომპანიის შეთავაზება, საიდანაც შედგა 4 საპარტნიორო შეთანხმება.

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ აქტიურად აგრძელებს ქართველი ექსპორტიორების სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობას. 2017 წლის მდგომარეობით, **სააგენტომ უზრუნველყო 94 ქართული კომპანიის საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა.**

ყოველსაბედობრივი ინსტიტუციური განვითარების (CIB) პროგრამის II ეტაპის ფარგლებში, დასრულდა მეტროლოგიური ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვა სანიმუშო გაზომვის საშუალებებით. არსებული მდგომარეობით, ახალი აღჭურვილობა განთავსდა შემდეგ ლაბორატორიებში - რადიაციული მეტროლოგია, მცირე მოცულობები, ძალა, წნევა, აკუსტიკური გაზომვები, ტემპერატურა, ელექტრობა, ტენიანობა, რადიო-ფიზიკური გაზომვები, დრო და სიხშირე, გეომეტრიული გაზომვები, ოპტიკა, მასა, დიდი მასები - საწონები და სასწორები.

2017 წელს, საქართველოს სტანდარტად სულ მიღებული იქნა 2157 ევროპული და საერთაშორისო სტანდარტი. მათ შორის: 48 საერთაშორისო (ISO, IEC); 2105 ევროპული (EN) და 4 სსტ (საქართველოს სტანდარტი). ამ ეტაპისათვის, საქართველოს სტანდარტად მიღებულია 11 000-ზე მეტი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი.

2017 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის საერთაშორისო აღიარების კუთხით. 2017 წლის 23 მაისს, ევროპული აკრედიტაციის EA-ს გენერალურ ასამბლეაზე ხელი მოეწერა ორმხრივი აღიარების შეთანხმება საქართველოს აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს შორის. აღიარება გულისხმობს საქართველოში აკრედიტებული პირების მიერ გაცემული სერტიფიკატების და ლაბორატორიული გამოცდის ოქმების საერთაშორისო აღიარებას. მაგალითისათვის უკვე შესაძლებელია, რომ საქართველოში მეწარმემ მიიღოს ევროკავშირში აღიარებული სერტიფიკატი ისეთ პროდუქტებზე როგორებიცაა: ხილი, ბოსტნეული, ხილის და ბოსტნეულისგან დამზადებული კონსერვები და სხვა სახის საკვები პროდუქტი, მინერალური და სასმელი წყალი, უალკოჰოლო სასმელები, ალკოჰოლიანი სასმელები, ფერადი და ძვირფასი ლითონები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ქიმიური მრეწველობის პროდუქტები, ავეჯი, გამზომი საშუალებების დაკალიბრება და სხვა.

საქართველოში სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბებისათვის მომზადდა და საქართველოს პარლამენტში მთავრობის ინიციატივით წარდგენილ იქნა ცვლილებები პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში.

ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული, ცხოველთა კეთილდღეობისა და სხვა საკანონმდებლო ღონისძიებების შესაბამისად შემუშავდა საკანონმდებლო დაახლოების სია. სია მოიცავს 272 დირექტივას, რომელთაგან დაახლოების ვადები გაწერილია 13 წელზე. აღნიშნული სიით 2017 წელისთვის განსაზღვრული 19 სამართლებრივი აქტიდან განხორციელდა დაახლოება 17 სამართლებრივ აქტთან. ევროკავშირთან შეთანხმებით 2 სამართლებრივი აქტი მიჩნეულ იქნა საქართველოსთვის არარელევანტურად და ამოღებულ იქნა 2017 წელს დასახლოებელი დირექტივების ჩამონათვალიდან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, 2017 წლის მდგომარეობით, საქართველო დამატებულია იმ მესამე ქვეყნების ჩამონათვალში, საიდანაც შესაძლებელია თაფლის, ზღვის თევზისა და ზღვის თევზის პროდუქტების იმპორტი ევროკავშირში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კიდევ ორი ცხოველური წარმოშობის პროდუქტი მატყლი და გათრიმლული ტყავი გადის ექსპორტზე ევროკავშირში.

2017 წელს, დასრულდა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის „წითელი ხიდის“ სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლისათვის შენობის მშენებლობის პირველი ეტაპი. ასევე, CIB პროექტის ფარგლებში განხორციელდა SPS კონტროლისთვის საჭირო აღჭურვილობის შექმნა.

მომზადდა საზღვარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით, საბაჟო აღსრულების პროცედურებთან დაკავშირებული კანონის პროექტი, რომელიც უახლოეს პერიოდში წარედგინება საქართველოს პარლამენტს. „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ევროკავშირის შესაბამის რეგულაციასთან (№ 608/2013) დაახლოების მიზნით შემოსავლების სამსახურში შეიქმნა შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი მიღებულ იქნა, საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის დეკემბერში. შესაბამისად, შეთანხმების მე-13 დანართით გათვალისწინებული, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ ვალდებულება შესრულებულია.

2017 წლის 21 აპრილს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით მოხდა „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ“ რეგიონულ კონვენციასთან“ მიერთება. მოცემულ ეტაპზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებში ცვლილებების შეტანის მიზნით, მიმდინარეობს პროცედურები საქართველოსა და ევროკავშირთან, ასევე თურქეთის რესპუბლიკასთან, რაც კონვენციით გათვალისწინებული დიაგონალური კუმულაციის ამოქმედებას გულისხმობს.

დიაგონალური კუმულაცია საქართველოს მეწარმეებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ ევროკავშირის, თურქეთის რესპუბლიკისა და EFTA-ს ქვეყნების ბაზარზე არსებული ნედლეული, ხოლო უკვე გადამუშავებული პროდუქტები ექსპორტით გაიტანონ ზემოაღნიშნული ქვეყნების ბაზრებზე, იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების შეღავათანი რეჟიმით. აღნიშნული შესაძლებლობა ცხადია კიდევ უფრო ზრდის ქვეყნის შედარებითი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელს.

ასოცირების შეთანხმების მე-13 დანართში 1987 წლის 20 მაისის „ტრანზიტის საერთო კონვენციისა (CTC)“ და „საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების შესახებ (SAD)“ კონვენციებთან მიახლოების (შესაძლო მიერთების) და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ დანერგვის მიზნით, „ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტის დაძმობილების“ პროგრამის ფარგლებში წარმატებით დამტკიცდა და გამოცხადდა კონკურსი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ ინიცირებულ პროექტზე, რომელიც გულისხმობს ახალი სატრანზიტო სისტემის

დანერგვისთვის მომზადებას. 2017 წლის 18 დეკემბერს, დამზობილების პროექტის განსახორციელებლად, ევროკავშირის დელეგაციაში (საქართველოში) შერჩეულ იქნა, ფინეთის, პოლონეთის და ლატვიის კონსორციუმი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი უწყებებით: ფინეთის საბაჟო ადმინისტრაცია, პოლონეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ეროვნული შემოსავლების სამსახური და ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლების სამსახური. პროექტი 2018 წლის მარტში დაიწყო.

განხორციელდა ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში, რომლითაც მოხდა DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების (ასოცირების შეთანხმების 144-ე მუხლი) შესრულება. აღნიშნული ცვლილებების თანახმად, კანონმდებლობაში აისახა არადისკრიმინაციულობის, თანასწორი მოპყრობის, გამჭვირვალობის და პროპორციულობის პრინციპები.

2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ორგანოს ახალ მოწყობას და მის მეტ გამჭვირვალობას. კონკურენციის სააგენტოში დაიწყო ევროკავშირის ტექნიკური დახმარების 2-წლიანი პროექტი - „საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა“, რომელიც მიზნად ისახავს კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების ეფექტიანობის გაზრდას ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკისა და DCFTA-ის დებულებების შესაბამისად.

ცვლილებები შევიდა **ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მარეგულირებელ საქართველოს კანონმდებლობაში**, კერძოდ, ცვლილებები შეეხო შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: საქართველოს საპატენტო კანონს; საქართველოს კანონებს სასაქონლო ნიშნების შესახებ; საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ; დიზაინის შესახებ; წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ; პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს. ცვლილებების შედეგად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა ევროკავშირის სტანდარტებთან, რაც თავისთავად გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს და გაძლიერებულ აღსრულების მექანიზმებს. **მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“**. კერძოდ და საჯარო სექტორთან მოეწყო კანონის პროექტის პრეზენტაცია და დეტალური განხილვა. USAID-ის „მმართველობა განვითარებისთვის (G4G)“ პროექტის დახმარებით შერჩეულია ექსპერტი, რომელიც შეისწავლის კანონპროექტის ევროდირექტივებთან შესაბამისობას. საჭიროების შემთხვევაში მოხდება პროექტის შემდგომი დახვეწა, რის შემდგომაც კანონპროექტი დადგენილი წესით წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტში.

EBRD-ის საგრანტო დახმარების ფარგლებში, **დასრულდა „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მოდიფიკაცია/დახვეწა**. კანონის პროექტი მოიცავს უნივერსალურ საფოსტო მომსახურებებს და საფოსტო სფეროს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. 2017 წლის ივლისში, გაიმართა სამთავრობო უწყებებსა და შესაბამის სფეროში მოქმედ კერძო

სექტორთან კანონპროექტის საჯარო განხილვა. კანონის პროექტი გაგზავნილია ევროკომისიაში კომენტარებისთვის, რის შემდეგაც, კანონის პროექტი და მისი თანმდევი კანონპროექტები გაიგზავნება სახელმწიფო პროცედურების გასავლელად და წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

მომზადდა ტყის ახალი კოდექსი. დაგეგმილია საჯარო განხილვების გამართვა 2018 წელს, რის შემდგომაც მოხდება კოდექსის ინიცირება საქართველოს პარლამენტში.

შემუშავდა ტყისა და მიწათსარგებლობის საინფორმაციო სისტემის ვებ-პორტალი, რაც ხელს შეუწყობს ტყისა და მიწათსარგებლობის ეფექტურ დაგეგმვას, მართვას და მონიტორინგს.

2017 წელს დაინერგა თევზჭერის ელექტრონული მონიტორინგის სისტემა, რომლის მეშვეობითაც რეალურ დროში მიმდინარეობს სარეწაო თევზჭერის კონტროლი შავ ზღვაში. თევზჭერის პროცესში გემები ჩართულია საერთაშორისო ავტომატური იდენტიფიცირების სისტემაში (AIS - Automatic Identification System), რომლის მიხედვითაც კონტროლდება გემის ადგილმდებარეობა და გადაადგილება ზღვაში. მონიტორინგის პარალელურად გემებზე დაინერგა თევზჭერის ელექტრონული ჟურნალის წარმოება, რაც უზრუნველყოფს დაჭერილი თევზის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდებას (მანამდე ფურცელზე ხდებოდა ინფორმაციის წარმოება).

პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოსთვის ძალაში შევიდა.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობის გაძლიერება ევროკავშირის კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებთან დაახლოებისთვის“ ფარგლებში, დასრულდა სამოქმედო გეგმის „კლიმატი 2021-2030“ გზამკვლევის შემუშავება.

ენერგეტიკის სფეროში ევროპული სტანდარტების დანერგვის უზრუნველსაყოფად, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: **დამტკიცდა ელექტროენერგეტიკის სექტორში ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემა, მიღებულ იქნა ელექტროენერჯის გადამცემ ქსელზე მიერთების სტანდარტული პირობები.** გარდა აღნიშნულისა, ენერგეტიკის სფეროში ევროპული საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად ხორციელდება ევროკავშირის TWINNING-ის პროექტი.

5. ეკონომიკური თანამშრომლობა

წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2017 წლის დეკემბერში და 2017 წლის IV კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 4,7 პროცენტი შეადგინა. 2017 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ წინასწარი შეფასებით 4,8 პროცენტი შეადგინა.¹

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2017 წელს 1861.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.²

2017 წელს, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2844.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი მაჩვენებელზე 2.0 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 646.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (13.0 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2197.7 მლნ. აშშ დოლარი (0.8 პროცენტით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 26.6 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 23.7 პროცენტი და იმპორტში 27.5 პროცენტი (2016 წელს შესაბამისად 29.6, 27.1 და 30.4 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 29.5 პროცენტი (2016 წელს 31.7 პროცენტი).³

2017 წელს, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შემდეგ საკანონმდებლო აქტებთან დაახლოების მიზნით:

- ❖ ევროკავშირის 2007 წლის დეკემბრის 2007/74/EC დირექტივა (დირექტივის მე-3 თავი) მგზავრთათვის რაოდენობრივი შეზღუდვების შესახებ;
- ❖ ევროკავშირის 1992 წლის 19 ოქტომბრის 92/83/EEC დირექტივა ალკოჰოლისა და ალკოჰოლური სასმელების აქციზის გადასახადის სტრუქტურის შესახებ (გარკვეულ საკითხებზე (განაკვეთების სტრუქტურა). ცვლილებები უკვე განხორციელდა და 2017 წლის 1 ივლისიდან შევიდა ძალაში, რომლის შესაბამისად, აქციზის განაგარიშება მოხდება ლუდისათვის - სასმელში ალკოჰოლის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, ხოლო სპირტიან ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთი დგინდება მასში სუფთა ალკოჰოლის შემცველობიდან გამომდინარე). ამასთან, მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების კიდევ ერთი პროექტი აღნიშნულ დირექტივასთან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აპროქსიმაციის მიზნით.
- ❖ საბჭოს 1986 წლის 17 ნოემბრის 86/560/EEC მეცამეტე დირექტივა (დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნების შესახებ).

საქართველოს კანონმდებლობის საბჭოს 2006 წლის 28 ნოემბრის 2006/112/EC დირექტივასთან (დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ) დაახლოების გაგრძელების მიზნით, 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა

¹http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/economic/yovelTviuri%20ekonomikuri%20statistika_d ekemberi_2017.pdf

²http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FDI_2017Q4-2017-GEO-with%20cover.docx.pdf

³http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=134&lang=eng

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებები წინასწარი გადახდების (ავანსების) დაბეგვრის საკითხზე. აღნიშნულ საკითხზე ცვლილებები შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში, რომლის საფუძველზე გადასახადის გადამხდელს განემარტათ ავანსების დღგ-ით დაბეგვრის სხვადასხვა შემთხვევები.

საქართველოს კანონმდებლობის 2011 წლის 21 ივნისის საბჭოს 2011/64/EU დირექტივასთან (წარმოებული თამბაქოს აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და განაკვეთების შესახებ) დაახლოების მიზნით, 2017 წლის 1 იანვრიდან, განხორციელდა თამბაქოზე აქციზის განაკვეთების ზრდა, კერძოდ, აქციზის განაკვეთის ფიქსირებული კომპონენტი 60 თეთრით გაიზარდა.

ამოქმედდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინოვაციური ვებპლატფორმა - ბიუჯეტის მონიტორი (www.budgetmonitor.ge), რომელიც წარმოადგენს განახლებად ანალიტიკურ ინფორმაციას საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებით და საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს ჩაერთოს სახელმწიფო ბიუჯეტის ზედამხედველობაში. ასევე, ამოქმედდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსების ელექტრონული დეკლარირების პროგრამა. 2017 წლის 12 სექტემბერს, „ბიუჯეტის მონიტორი“ გახდა „ფისკალური გამჭვირვალობის გლობალური ინიციატივის“ (GIFT) მიერ ჩატარებული ფისკალური გამჭვირვალობის მსოფლიო მასშტაბის კონკურსის გამარჯვებული. ასევე, ვებპლატფორმა გახდა გაეროს მსოფლიო სამიტის (UN World Summit Awards) და საქართველოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციის (GITI) დაჯილდოებების გამარჯვებული.

2017 წელს ჩატარდა 75 ფინანსური/შესაბამისობის და 11 ეფექტიანობის აუდიტი, მათ შორის 2 ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ბოლო სამი წლის საშუალო მაჩვენებელი 43%-ია. აღნიშნული მაჩვენებლის გაუმჯობესებისა და რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს მონიტორინგის სისტემის დანერგვა, ხოლო დამტკიცებულია რეკომენდაციების შესრულების (შემდგომი რეაგირების) 2 აუდიტი.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შეიმუშავა საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. აქტიური საწარმოებისთვის ბიზნეს რეგისტრში განხორციელდა NACE Rev. 2 (ეკონომიკურ საქმიანობათა კლასიფიკატორი) ასახვა. ბიზნეს სექტორის 2017 წლის პირველი კვარტლის შედეგები გამოქვეყნდა როგორც NACE Rev. 2 კლასიფიკატორის მიხედვით, ასევე - საწარმოთა ახალი ზომების მიხედვით.

საქართველოს კანონმდებლობის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 9 დეკემბრის 2002/92/EC სადაზღვევო მედიაციის შესახებ დირექტივასთან დაახლოების მიზნით, სადაზღვევო ბროკერების საქმიანობის საზედამხედველო ჩარჩოს სრულყოფის მიმართულებით, მომზადებულია და საქართველოს მთავრობაში განიხილება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომელიც 2018 წლის პირველ ნახევარში წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელდა 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 575/2013 რეგულაციის საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული მოთხოვნების შესახებ და 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/36 დირექტივის საკრედიტო ინსტიტუტებისა და საინვესტიციო ფირმების პრუდენციული ზედამხედველობის თაობაზე რიგ მოთხოვნათა შესრულება, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N92/04 ბრძანებით ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი“ დამტკიცდა. აღნიშნული ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები სრულად შეესაბამება წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და პრინციპებს. გარდა ამისა, პარლამენტის მიერ 2017 წლის 23 დეკემბერს მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლითაც საქართველოს ეროვნულ ბანკს შესაძლებლობა მიეცა უფრო ეფექტურად და მოქნილად იმოქმედოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობის თვალსაზრისით. რიგი საკანონმდებლო ცვლილებები (მათ შორის, კომერციული ბანკის ლიცენზირების თავი), ასევე ზემოაღნიშნული დირექტივის სტანდარტებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავდა. საკანონმდებლო ცვლილებებით, მათ შორის, საბანკო ჯგუფების ზედამხედველობის შემოღებით, საქართველოს რეგულაციები მეტად შესაბამისი გახდა სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან.

ამასთან, 2017 წელს, ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანებით დამტკიცებულ „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში“. ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №176/04 ბრძანებით დამტკიცდა „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი“. ამასთან, მიღებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №173/04 ბრძანება „კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის დაწესების თაობაზე“ და საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის 18 დეკემბრის №174/04 ბრძანება „სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე“. აღნიშნული ნორმატიული აქტები დიდწილად ზემოთ მითითებული ევროკავშირის აქტებით განსაზღვრული სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა.

6. თანამშრომლობის სხვა სფეროები

6.1 ტრანსპორტი

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელდა „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის რეალურ საგზაო პირობებში ჩატარებისათვის შესყიდული საგამოცდო სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა, ასევე გამომცდელების მძღოლობის კანდიდატის შეფასების საწყის უნარ-ჩვევებში გადამზადება და მიმდინარეობს შესაბამისი სამართლებრივი ბაზის პროექტების შემუშავება. მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდის მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული იქნა საგამოცდო მარშრუტები.

ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობის ტესტირების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 6 მაისის 2009/40/EC დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, 2017 წლის 1 დეკემბერს, დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილებები №510 „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე და №511 ტექნიკური რეგლამენტი – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე.

2017 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა „საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2015 წლის 11 დეკემბრის №4620-III საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლები, რომლის შედეგად განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შემდეგ საკანონმდებლო აქტებთან დაახლოება:

- ❖ უბედური შემთხვევებისას ავიაგადამზიდველის პასუხისმგებლობის შესახებ საბჭოს 1997 წლის 9 ოქტომბრის № 2027/97 რეგულაცია;
- ❖ ავიაგადამზიდველებისთვის და საჰაერო ხომალდის ოპერატორებისთვის სადაზღვევო მოთხოვნების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის № 785/2004 რეგულაცია;
- ❖ ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაზიდვების წარმოების წესის შესახებ ევროპარლამენტის 2008 წლის 24 სექტემბრის №1008/2008 რეგულაცია.

რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 23 ოქტომბრის 1371/2007 რეგულაციასთან საქართველოს კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, ამოქმედდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის 1-1/586 ბრძანება რკინიგზის მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

გემების უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო კოდექსის იმპლემენტაციის შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 თებერვლის N 336/2006 რეგულაციასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, 2017 წლის 27 დეკემბერს მიღებულ

იქნა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის N 04 „გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების“ დამტკიცების შესახებ ბრძანება.

6.2 თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში

2017 წლის ივლისში, საქართველო გახდა „ენერგეტიკული გაერთიანების“ სრულუფლებიანი წევრი.

1994 წლის 30 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 94/22/EC დირექტივის „ნახშირწყალბადის რესურსების ძიების, მოპოვებისა და წარმოების ნებართვების მიღებისა და გამოყენების პირობების შესახებ“ შესაბამისად, მომზადებულია ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტი.

2017 წელს, დასრულდა ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და მიმდინარეობს საბოლოო განხილვები.

6.3 გარემოს დაცვა

2017 წლის 1 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც სრულად შეესაბამება როგორც ევროკავშირის გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივებს, ასევე ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციას (ესპოს კონვენცია), მის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმს და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციას (ორჰუსის კონვენცია). კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

2017 წელს, შემუშავდა 2017-2021 წლების გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის პროექტი.

საქართველოს კანონმდებლობის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 28 იანვრის 2003/4/EC საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ დირექტივასთან დაახლოების მიზნით, გამოიცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 27 მარტის №12 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების შესახებ“.

2017 წლის 25 მაისს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტი – ზოგიერთ თხევად საწვავში გოჯირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის

შესახებ, რომელიც შეესაბამება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 11 მაისის 2016/802 ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირების შესახებ დირექტივას.

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს ჩაუტარდა რეგულირების ზემოქმედების შეფასება (RIA) და შეფასების შედეგი გათვალისწინებულ იქნა კანონის პროექტში.

2008 წლის 17 ივნისის 2008/56/EC საზღვაო გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი ქმედებებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ დირექტივასთან დაახლოების მიზნით, საქართველოს პარლამენტს წარედგინა „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტი.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 9 თებერვლის №60 ბრძანებით, შეიქმნა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მომზადებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ექსპერტებთან ერთად მუშაობს „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის და „გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოთვლის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ კანონპროექტებზე აქტის პროექტის დახვეწაზე და თანმდევი საკანონმდებლო პაკეტის შემუშავებაზე.

დაიწყო ევროკავშირის Twinning-ის პროექტი „ინდუსტრიული დაბინძურებისა და ინდუსტრიული საფრთხეების შესახებ ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დანერგვისა და განხორციელებისათვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება.“

საქართველოს კანონმდებლობის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის 2010/75/EU სამრეწველო ემისიების შესახებ დირექტივასთან დაახლოების მიზნით, შემუშავდა კანონპროექტებზე აქტის პროექტი „ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის შესახებ“, რომელიც უახლოეს მომავალში დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის №294 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი „სამედიცინო ნარჩენების მართვის შესახებ“.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №605 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მომხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიონესოპერატორის აღიარების წესების დამტკიცების შესახებ.

ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა (<http://waste.moe.gov.ge>) გაეშვა სამუშაო რეჟიმში და ნარჩენების წარმოქმნილი კომპანიების გადამზადებულ წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგება ელექტრონულად.

2017 წელს „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ კონვენციის (ბერნის კონვენცია) სამდივნოს წარედგინა 3 ზურმუხტის ქსელის კანდიდატი საიტი დეზიგნირებისათვის, რომლებიც დამტკიცდა მუდმივმოქმედი კომიტეტის შეხვედრაზე.

შემუშავდა დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის საბოლოო ვერსია, რომელიც მოწონებულია საკოორდინაციო კომიტეტის მიერ.

6.4 კორპორაციული სამართალი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი და კორპორაციული მმართველობა

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, „ერთი პირის სამეწარმეო საზოგადოების“ ცნების შემოღება. კორპორაციული სამართლის სფეროში ერთწევრიანი შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანიების შესახებ 2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/102/EC დირექტივის 1 მილიონ ევროზე მეტი ბრუნვის მქონე ერთ-წევრიანი შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანიების მიერ შესრულების მიზნით, 2017 წლის 30 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/34/EU დირექტივის შესაბამისად „ზოგიერთი კატეგორიის საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგებების, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების და დაკავშირებული ანგარიშების შესახებ, რომელიც ცვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/43/EC დირექტივას და აუქმებს საბჭოს 78/660/EEC და 83/349/EEC დირექტივებს“ ამოქმედდა ანგარიშგებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის ელექტრონული გვერდი და ანგარიშგების პორტალი, რომელზეც გასაჯაროვდა პირველად წარდგენილი აუდიტორული ანგარიშგებები.

2006 წლის 17 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/43/EC დირექტივის შესაბამისად „წლიური ანგარიშებისა და კონსოლიდირებული ანგარიშების კანონით დადგენილი აუდიტის განხორციელების შესახებ, რომელიც ცვლის საბჭოს 78/660/EEC და 83/349/EEC დირექტივებს და აუქმებს საბჭოს 84/253/EEC დირექტივას“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურში დარეგისტრირებულია 435 აუდიტორი და 239 აუდიტორული ფირმა. იგივე დირექტივის შესაბამისად დამტკიცდა ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესი და 17 აუდიტორულ ფირმას ჩაუტარდა აღნიშნული მონიტორინგი. ასევე, იგივე დირექტივის შესაბამისად დამტკიცდა პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი და განგრძობითი განათლების სტანდარტი, აღიარებულ იქნა და სერტიფიცირებული ბუღალტრებისთვის განხორციელდა სამი პროფესიული ორგანიზაციის 2017 წლის განგრძობითი განათლების პროგრამები.

2013/34/EU და 2006/43/EC დირექტივების შესაბამისად განახლდა და ამოქმედდა ქართულ ენაზე თარგმნილი საერთაშორისო სტანდარტები.

6.5 სამოქალაქო დაცვა

მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები საქართველოს ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმში ჩართვის მიზნით (EU Civil Protection Mechanism). ქართულმა მხარემ თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები მიაწოდა ევროკომისიის სამოქალაქო დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატს (DG ECHO). ამჟამად, მიმდინარეობს მუშობა შეთანხმების ტექსტის პროექტზე.

6.6 სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება

2017 წელს, აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში გაიცა 21 394 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ღირებულება შეადგენს 138 727 403 ლარს, სააგენტოს გადასახდელი პრემიის წილი 7 410 121 ლარს. დაზღვეული კულტურების ფართობმა შეადგინა 20 717 ჰექტარი.

2017 წელს, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაიცა 2400 სესხი, აქედან 2364 სესხი - 276 298 612 ლარის ოდენობით, 36 სესხი - 4 356 223 დოლარის ოდენობით.

გადამამუშავებელ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტით დაფინანსებულ ახალგახსნილ საწარმოებში დაინერგა სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტების და სისტემების (HACCP და ISO22000:2005) თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდოლოგიები. 2017 წელს, ISO 22000 სერტიფიკატი მიიღო 8 საწარმომ, HACCP სერტიფიკატი კი 2-მა საწარმომ.

განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი. გადამამუშავებელ საწარმოთა კომპონენტის ფარგლებში, დამტკიცდა 12 პროექტი ჯამური ღირებულებით 8 388 673 ლარი და 4,352,032 აშშ დოლარი.

ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა - დანერგე მომავალი, რომლის ფარგლებშიც 285 ბენეფიციარს დაუმტკიცდა 306 განაცხადი. თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 10 082 515 ლარს, გასაშენებელი ბაღების ფართობი - 1 778 ჰა-ს.

2017 წელს, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამის (IFAD) ფარგლებში დამტკიცდა 120 პროექტი, სააგენტოს მხრიდან გაცემული თანადაფინანსების ოდენობაა - 2 662 640 ლარი.

ასევე, განხორციელდა 3 სახელმწიფო პროგრამა მეფუტკრეობის, რძის მწარმოებელი და მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების (ჯამში 99 კოოპერატივის) მხარდაჭერის მიზნით.

6.6 დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები

2017 წელს, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა განხორციელდა 2 ეტაპად, ქალაქ თბილისში და 14 მუნიციპალურ ერთეულში.

პროგრამის ფარგლებში სულ გაიცა 2360 ვაუჩერი, მათგან 163 იძულებით გადაადგილებული პირი, 622 სოციალურად დაუცველი პირი, 9 პრობაციონერი, 7 ყოფილი პატიმარი და 79 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირი. სწავლის პროცესი დაასრულა და სერთიფიკატი გადაეცა 2130 კურსდამთავრებულს. ამჟამად, მონიტორინგის შედეგად დადასტურებულია 551 ბენეფიციარის დასაქმება.

კვალიფიკაციის ამაღლების (სტაჟირების) კომპონენტის მიმდინარეობის კუთხით, მიმწოდებლად დარეგისტრირდა 27 ორგანიზაცია, მათგან 26-ში სტაჟირება გაიარა 129 ბენეფიციარმა. ამ ეტაპზე, დადასტურებულად დასაქმებულია 41 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, დევნილი -1, შშმ პირი - 5.

2017 წლის „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილი იქნა 5711 სამუშაო ადგილი, ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 2469 სამუშაოს მაძიებელი. სულ საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 399 პირი.

2017 წლის განმავლობაში ჩატარდა 14 დასაქმების ფორუმი (მათ შორის ერთი დასაქმების ფესტივალი), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 5947-მდე სამუშაოს მაძიებელმა. წარმოდგენილი იყო 2500-მდე ვაკანასია, დასაქმდა 731 სამუშაოს მაძიებელი.

მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვის ფარგლებში, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა მოიძიეს 134 ვაკანსია შშმ პირთათვის. 2017 წელს, საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 42 შშმ პირი. სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 23 დამსაქმებელი და 53 შშმ პირი. დასაქმებულია 22 შშმ პირი.

2017 წელს, დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამისა და სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დასაქმებულია 1775 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 103 შშმ პირი.

2017 წლის პროგრამის საბოლოო შედეგები ცნობილი გახდება 2018 წლის ზაფხულის პერიოდში, საბოლოო მონიტორინგის განხორციელების შესაბამისად.

2017 წელს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შემოწმდა 166 კომპანიის 280 ობიექტი.

შრომის ინსპექტორების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგები და სემინარები.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილებით დამტკიცებული „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის“ შესაბამისად, შემოწმდა 107 კომპანია, მათ შორის არაგეგმიურად - 6.

2018 წლის 7 მარტს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი.

2017 წლის 10 თებერვალს გამართული სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, **დამტკიცდა მედიატორთა რეესტრი.**

2017 წლის 11 ივლისს, ქ. ბათუმში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით გამართულ სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შეხვედრაზე გადაწყდა სამმხრივი კომისიის შექმნა აჭარაში. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და შემუშავდა დებულების პროექტი, რომლის მიხედვითაც აჭარის რეგიონში სამმხრივი კომისიის მხარეები იქნებიან: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აჭარის სხვადასხვა სექტორში მოქმედი დამსაქმებელთა გაერთიანებები და აჭარის დასაქმებულთა გაერთიანებები.

2017 წელს, გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის 5 შეხვედრა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილია ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი - სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შშმ სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელის სოციალური მოდელით ჩანაცვლებისა და შშმ პირთა ინდივიდუალური საჭიროების განსაზღვრის მიზნით გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დახმარებით, რომელმაც 2017 წლის განმავლობაში ჩაატარა 13 შეხვედრა. ამასთან, განხორციელდა ესტონელი ექსპერტების ვიზიტი საქართველოში, ესტონეთში არსებული შშმ პირთა შეფასების მოდელის გაზიარების მიზნით. მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ICF-ის ექსპერტებთან შეფასების მეთოდოლოგიასა და ბავშვების შეფასების ინსტრუმენტის შექმნისათვის. შემოთავაზებული იქნა შესაბამისი ექსპერტი, რომლის ვიზიტიც საქართველოში განხორციელდა 2017 წლის მაისში. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ფუნქციური შესაძლებლობების შეფასებისა და კლასიფიკაციის ინსტრუმენტის შერჩევასა და დახვეწაზე. ამავდროულად, მედიცინის დარგობრივ ასოციაციებთან და სამინისტროს ექსპერტ ექიმ-სპეციალისტებთან ერთად დაწყებულია მუშაობა იმ დაავადებათა ჩამონათვალის შედგენაზე, რომელთა საფუძველზეც მოხდება პირის ინდივიდუალური ფუნქციონირების შეფასება და შესაბამისად, შშმ სტატუსის განსაზღვრა.

2017 წელს განხორციელდა შშმ ბავშვთა სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ზრდა და ხელშეწყობა. შესაბამისად, საქართველოში 2017 წელს ამოქმედდა 8 შშმ დღის

ცენტრი (მცხეთა, ხარაგაული, ვანი, თელავი, ზუგდიდი, გურჯაანი, ზესტაფონი, ბორჯომი), 5 ადრეული განითარების სერვისი (მარნეული, თბილისი, ახალციხე, გორი, ბორჯომი) და 6 სარეაბილიტაციო მომსახურება (ბათუმი 2, თბილისი-3, ზუგდიდი-1).

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სერვისების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაინტერესებული პირების ჩართულობით შეიმუშავა ადრეული ჩარევის მომსახურების სტანდარტები - „ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 18 აგვისტოს ბრძანება №01-188/ო.

2017 წელს გრძელდება შშმ ბავშვთა დენსტიტუციონალიზაციის პროცესი და ბავშვთა გადაყვანა ალტერნატიულ ოჯახური ტიპის სერვისებში, კერძოდ, მინდობით აღზრდაში და მცირე ოჯახური ტიპის სახლებში. 2016 წლის ბოლოს გაიხსნა მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის 1 მცირე საოჯახო ტიპის სახლი ქ. ქუთაისში, სადაც განთავსდა 7 აღსაზრდელი ჩვილ ბავშვთა სახლიდან. 2018 წელს ამოქმედდება მეორე მცირე საოჯახო ტიპის სახლი. ამ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ჩაირიცხება ჩვილ ბავშვთა სახლის 7 აღსაზრდელი.

შშმ და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების მიტოვების პრევენციის გასაუმჯობესებლად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის N 01-129/ო ბრძანებით დამტკიცდა „სამედიცინო დაწესებულებებში ბავშვის მიტოვების პრევენციის სამოქმედო ინსტრუქცია“.

შშმ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირებისათვის გაუმჯობესდა წვდომა საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა საფეხურზე. 2017 წლის საგაზაფხულო მიღების ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 335 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი.

დასრულდა 7 და მიმდინარეობს 24 სრულად ადაპტირებული ახალი სკოლის მშენებლობა, აგრეთვე, 116 საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სამუშაოები სპეციალური საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით.

6.7 ჯანმრთელობის დაცვა

ქრონიკული დაავადებების მქონე პირთათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების“ მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ამოქმედდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა.

შემუშავებულია აივ ინფექცია/შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გარდამავალი ეტაპის 2017-2021 წლების გეგმა, რომელიც შეთანხმდა შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდთან და დამტკიცდა საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს მიერ.

შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული მეთადონის ჩანაცვლებითი პროგრამები 2017 წლის ივლისიდან სრულად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფოს მიერ ასევე უზრუნველყოფილია აივ/შიდსის და ტუბერკულოზის მკურნალობის მდგრადობა. 2017 წელს, სახელმწიფო სახსრებით შესყიდულია პირველი რიგის მედიკამენტების 100% და მეორე რიგის მედიკამენტების 25%.

2017 წელს, C ჰეპატიტის პროგრამის ფარგლებში მილიონზე მეტ ადამიანს ჩაუტარდა სკრინინგი, დადებითი პასუხის მქონე 49000-ზე მეტ პაციენტს ჩაუტარდა გამოკვლევა, მკურნალობა დაასრულა 36 ათასმა, განკურნების მაჩვენებელი შეადგენს 98%-ს. 2017 წელს, დამტკიცდა „C ჰეპატიტის სკრინინგი“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი). განახლდა სისხლის დონორთა ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელიც დაკავშირებულია C ჰეპატიტის სკრინინგის მოდულთან.

შემუშავებულია სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციების კონტროლისა და პრევენციის მარეგულირებელი დოკუმენტები, პროტოკოლები, გაიდლაინები და სხვა საინფორმაციო მასალა. ქ.თბილისის, ქ.ბათუმისა და ქ.ქუთაისის სტაციონარულ დაწესებულებებში განხორციელდა ინფექციის კონტროლის მონიტორინგის პირველი და მეორე ეტაპები.

ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ანტიმიკრობული რეზისტენტობაზე ზედამხედველობის (CAESAR) ქსელში ჩართულია 11 მიკრობიოლოგიური ლაბორატორია. რეგულარულად გროვდება მონაცემები ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული პროფილის შესაქმნელად. საქართველოდან წარდგენილი მონაცემები პირველად გამოქვეყნდა CAESAR-ის მიერ 2017 წელს გამოცემულ ყოველწლიურ ანგარიშში.

სამედიცინო პერსონალის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მიმდინარეობს სასწავლო კურსები, ნოზოკომიური ინფექციების კონტროლის და ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენების შესახებ.

2017 წელს, განხორციელდა ანტინიკოტინური კამპანია, რომელშიც მონაწილეობდნენ წარმატებული ქართველი სპორტსმენები და გულისხმობდა პიარ ღონისძიებებს თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ.

6.8 თანამშრომლობა ინოვაციის სფეროში

2017 წელს, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მცირე (5000 ლარამდე) საგრანტო პროგრამის ფარგლებში გაიცა 56 გრანტი, საიდანაც 21 გრანტი

გაიცა პროტოტიპის დასამზადებლად, 22 - საზღვარგარეთ გასამართ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, 11 - საქართველოში გასამართი ღონისძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად და 2 - პატენტის მისაღებად.

6.9 თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში

2017 წელს, საქართველოს კანონმდებლობის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 10 მარტის 2010/13/EU დირექტივასთან (აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების დირექტივა) დაახლოების მიზნით, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

6.10 ხალხთა შორის კონტაქტები, განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

2017 წელს შემუშავდა და საქართველოს მთავრობის N533 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021“. 2017 წლის დეკემბერში მომზადდა აღნიშნული სტრატეგიის შესრულების 2017 წლის მონიტორინგის ანგარიში, რომელიც 2017 წლის 29 დეკემბერს გამოქვეყნდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე.

2017 წელს, შემუშავდა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტი, რომელიც განხილულ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან. კანონპროექტი განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ნებისმიერ პირს მიეცა შესაძლებლობა საკუთარი შენიშვნები და წინადადებები მიეწოდებინა სამინისტროსათვის, რაც გათვალისწინებულ იქნა დოკუმენტის კორექტირებისას. კანონპროექტი მზად არის პარლამენტში ინიცირებისათვის.

საქართველო აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის პროგრამაში ERASMUS+ და 131 პარტნიორ ქვეყანას შორის პირველ ათეულშია (მე-8 ადგილი), წარმატებული პროექტების კუთხით. 2017 წლის საგრანტო კონკურსის შედეგების მიხედვით, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/ex-Tempus) 5 ახალი პროექტი ქართული უნივერსიტეტების მონაწილეობით, გაიზარდა Erasmus Mundus Joint Master Degree Programmes პროგრამებში ქართველი აპლიკანტების რაოდენობა: 21-მა სტუდენტმა მოიპოვა სტიპენდია ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებზე. დაფინანსდა ჟან მონე-ს ერთი ახალი პროექტი. 2017 წლის მონაცემებით, საერთაშორისო კრედიტ მობილობის ფარგლებში, ორმხრივი მობილობის მიმართულებით დაფინანსებული სტიპენდიების რაოდენობა შეადგენს 1333-ს, აქედან ქართველი სტუდენტების ევროპაში გასვლითი სტიპენდიების რაოდენობამ შეადგენა 818, ხოლო ევროპელი სტუდენტების საქართველოში ჩამოსვლითმა სტიპენდიებმა 515. ჩატარდა 12 საინფორმაციო შეხვედრა: 6 თბილისში და 6 რეგიონებში: თელავი (1), ახალციხე (1), ბათუმი (2), ქუთაისი (2). Erasmus+ პროგრამის ახალგაზრდობის კომპონენტის მიმართულებით, დაფინანსება მოიპოვა 3 პროექტმა: „საქართველოში მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა“, „სოციალური მეწარმეობა მოწყვლადი/დაუცველი ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციისათვის“ და „ახალგაზრდები ცვლილებებისთვის: უკეთესი უნარები წარმატებული ტრანზიციისთვის“.

საქართველოს სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვისა და ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან დამეგობრების ხელშეწყობის მიზნით, პორტალის 2017 წლის მონაცემებით, პროგრამაში ჩართულია 600 მასწავლებელი 311 სკოლიდან. ქართველი და ევროპელი კოლეგების თანამშრომლობით დაიგემა 159 პროექტი (ევროპული), ხოლო, ქართველი მასწავლებლების თანამშრომლობით 63 პროექტი (ეროვნული). პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებისთვის შეთავაზებული იყო ტრენინგები, სემინარები/კონფერენციები, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე ევროპის მასშტაბით.

2017 წელს, ჯამში ჩატარდა 17 საინფორმაციო დღე და საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა „ჰორიზონტი-2020“ პროგრამას, მასში მონაწილეობის მიღების წესებსა და გამოცხადებულ კონკურსებს. „ჰორიზონტი 2020“ პროგრამასთან დაკავშირებით, განხორციელდა 100-ზე მეტი ინდივიდუალური კონსულტაცია. ასევე, 2 საინფორმაციო დღე დაეთმო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ევროპული თანამშრომლობის პროგრამას (COST Actions), რომლის მიზანია ევროპის მასშტაბით მკვლევართა, ინჟინერთა და მეცნიერთა (ყველა სფერო) თანამშრომლობის გაძლიერება.

2017 წელს, ევროპის თანამშრომლობა მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში თანამშრომლობის ევროპული პროგრამის (COST) ფარგლებში, საქართველოს მეცნიერები, ევროკავშირის სამეზობლო ქვეყნის სტატუსით, მიუერთდნენ COST-ის 4 აქციას.

2017 წლის 17 დეკემბერს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ასოცირებული სტატუსი მარი სკლოდოვსკა-კიურის პროგრამების კონტექსტში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროკომისიის წარმომადგენლებმა და აღნიშნული პროგრამით დაფინანსებულმა ქართველმა მკვლევარებმა. 2017 წლის 21 აპრილს ევროპული კვლევების საბჭოსა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ერთობლივი ორგანიზებით, გაიმართა საერთაშორისო რეგიონალური კონფერენცია „ERC - მთელს მსოფლიოში გამორჩეული მკვლევარების მხარდაჭერა“, რომელშიც ევროპული კვლევების საბჭოს მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნის სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებმა.

ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ ფარგლებში, 2017 წელს გამოცხადებულ კონკურსებში გაიმარჯვა ოთხმა პროექტმა ქართველი პარტნიორების მონაწილეობით. ქართულმა ორგანიზაციებმა, ევროკომისიისგან ჯამში 638,813 ევროს დაფინანსება მიიღეს.

მეცნიერებისა და ინოვაციების პოპულარიზაციის მიზნით, 2017 წლის 24 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც მოიცავდა 300-მდე სხვადასხვა სახის სამეცნიერო და შემეცნებით-გასართობ ღონისძიებას. 2017 წელს, კომპანია მაიკროსოფტთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, უსადენო ინტერნეტის ქსელი (WiFi) მოეწყო 32 საჯარო სკოლაში. ამავე პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს უსადენო (WiFi) ქსელის მოწყობა საქართველოს მასშტაბით 450-ზე მეტ მცირეკონტიგენტთან საჯარო სკოლაში.

შემუშავებულია ახალი კანონის პროექტი „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებულია სპორტული ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების წინადადებები. ასევე, შემუშავებულია მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა და დაწყებულია სამოქმედო გეგმაზე მუშაობა.

დამტკიცდა მაღალი მიღწევებისა და მასობრივი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სამოქმედო გეგმის პირველი ეტაპი. დაწყებულია 10 საფეხურთო და სარაგბო მოედნის მშენებლობა თბილისსა და ქუთაისში და 3 ორდარბაზიანი მრავალფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობა გორში, ბათუმსა და თელავში.

სპორტის სტატისტიკური ინფორმაციის (სპორტული შედეგები, სპორტული კლუბები/სექციები, სპორტსმენებისა და მწვრთნელების რაოდენობა, სპორტული ორგანიზაციები და სხვა) შეგროვებისა და მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწის მიმართულებით ამოქმედდა პორტალი sportstat.gov.ge. ძირითადი მონაცემები ასახულია ბაზაში, ამასთან მიმდინარეობს მუშაობა ინფორმაციის მოძიებისა და პორტალზე განთავსების მიმართულებით.

დანერგილია კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსები სსიპ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე. გადამზადებულია 5000 მდე მწვრთნელი სხვადასხვა სახეობაში.

განხორციელდა სპორტის სფეროს რაოდენობრივი კლვევა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2017 წელს დაფუძნდა სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ და შეიქმნა კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების უწყებათაშორისი თანამშრომლობის გეგმა.

2017 წელს, პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ ფარგლებში, დაფინანსდა 5 პროექტი საქართველოდან:

- ❖ CineDoc-თბილისის საერთაშორისო დოკუმენტური კინოს ფესტივალი 2017 - Nosfera Foundation NNLE;
- ❖ Brave Kids Artistic Instructor Training and Practical Dissemination Project - საქველმოქმედო ფონდი "Caritas Georgia" და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“;
- ❖ School of Film Agents - დემოკრატიული ცვლილებების ინსტიტუტი;
- ❖ Mosaïque de la littérature Européenne - გამომცემლობა „აგორა“;
- ❖ First time in Georgia: 10 EU Literature Prize winners - „ელფის“ გამომცემლობა.

2017 წელს, კულტურის სექტორში შემუშავდა თემატური და დარგობრივი სტრატეგიული ხასიათის შემდეგი დოკუმენტები:

- ❖ შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა;
- ❖ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობისა და ფასეულობების დაცვის/პოპულარიზაციის სამოქმედო გეგმა;

- ❖ საგანგებო სიტუაციების დროს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ობიექტების დაცვისა და საგანგებო მართვის სამოქმედო გეგმა;
- ❖ საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის და ქვეყანაში არსებული ე.წ. "ზიარი" კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და მოვლა-პატრონობის სამოქმედო გეგმა;
- ❖ სახელოვნებო განათლებასთან დაკავშირებული ცვლილებების პაკეტი საქართველოს კანონში კულტურის შესახებ, საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ, საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ და სხვა შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში;
- ❖ სახელოვნებო და კულტურის განათლების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, როგორც ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამის ეროვნულმა საკოორდინაციო ორგანომ, განახორციელა მთელი რიგი აქტივობები და ღონისძიებები, მათ შორის: მომზადდა ვებ-გვერდი - www.culturalroutes.gov.ge; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დახმარებით განხორციელდა ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო წიგნის "Cultural Routes Management: from theory to practice" თარგმნა და გამოცემა ქართულ ენაზე; ჩამოყალიბდა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული საქართველოს კულტურული მარშრუტების სტრატეგიული განვითარებისა და სერტიფიცირების საბჭო; სამინისტროს აქტიური ჩართულობით ევროპის საბჭოს სერტიფიცირებულ კულტურულ მარშრუტებს („ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი“, „ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშრუტი“ და „პრეისტორიული კლდის ხელოვნება“), მიუერთდა 3 ინსტიტუცია საქართველოდან.

ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში შემუშავდა რეკომენდაციები და ანგარიში კულტურის საჯარო დაფინანსებაზე გადასვლის მოდელების და დაფინანსების ალტერნატიული წყაროების შესახებ, რომლის საფუძველზეც ეტაპობრივად დაიწყება კულტურის მმართველობისა და დაფინანსების სისტემის რეფორმის განხორციელება.

6.11 რეგიონული განვითარება

წარმატებით ხორციელდება 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა. მომზადდა აღნიშნული პროგრამის განხორციელების 2016 წლის კონსოლიდირებული და 2017 წლის 6 თვის ანგარიშები.

სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის აქტიური ჩართულობით, მიმდინარეობს ინტენსიური სამუშაოები 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადებასთან დაკავშირებით.

7. ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი

ჩატარდა აქტიური კონსულტაციები და განისაზღვრა ევროკავშირის 2017-2020 წლების დახმარების ერთიანი ჩარჩო დოკუმენტის (SSF) მომავალი თანამშრომლობის პრიორიტეტები.

დარგობრივ სამინისტროებთან გაიმართა კონსულტაციები და შეთანხმდა 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული დახმარების პროგრამები. შედეგად, ევროკავშირის დახმარების 2017 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველო მიიღებს 100 მლნ. ევრომდე ფინანსურ დახმარებას, რომელიც განაწილდება ორ საბიუჯეტო დახმარების პროგრამაზე: 50 მლნ. ევრომდე დახმარება გამოიყოფა ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებაზე, ხოლო 47 მლნ. ევრომდე დახმარება გამოიყოფა პროფესიული განათლებისა და დასაქმების კუთხით მხარდაჭერაზე.

2017 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ 2 საფინანსო შეთანხმებას:

- ❖ „ტექნიკური თანამშრომლობის მექანიზმი II“ რომელიც ითვალისწინებს ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში 32 მლნ. ევროს ოდენობის ევროკავშირის საექსპერტო და ტექნიკურ დახმარებას ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარების პროგრამების მეშვეობით;
- ❖ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საბიუჯეტო დახმარების პროგრამა „ENPARD III“ (77.5 მლნ. ევრო)

2017 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით მიმდინარეობდა ევროკავშირის 8 საბიუჯეტო დახმარების პროგრამა შემდეგი მიმართულებებით: საჯარო სამსახურის რეფორმა (30 მლნ. ევრო); მართლმსაჯულების რეფორმა (30 მლნ. ევრო); სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება - ENPARD II (50 მლნ. ევრო); საჯარო ფინანსების მართვა (19 მლნ. ევრო); პროფესიული განათლება (27 მლნ. ევრო); მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა (44.5 მლნ. ევრო); რეგიონალური განვითარების პროგრამის II ფაზა (30 მლნ. ევრო); იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება (5 მლნ. ევრო).

საანგარიშო პერიოდში გაიმართა 10-მდე შეხვედრა მინისტრის მოადგილეების დონეზე ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. იმ უწყებებისათვის, სადაც მიმდინარეობს ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამები მომზადდა რეკომენდაციები დახმარების პროგრამებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულფასოვნად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სხვადასხვა საჯარო უწყებებისთვის გაიმართა 30-მდე საკონსულტაციო შეხვედრა ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარების პროგრამების (Twinning/Technical Assistance, TA/EX) დაგეგმვის, გამოყენების წესებისა და პროცედურების შესახებ.

2017 წელს, წარმატებით დასრულდა ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების TWINNING-ის პროგრამის 5 პროექტის განხორციელება. სულ, 2017 წლისათვის დასრულებულია TWINNING-ის 22 პროექტი. 2017 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით მიმდინარეობდა 6 პროექტი შემდეგი მიმართულებებით: ჯანდაცვა, ეკონომიკა, მართლმსაჯულება, კომუნიკაციების მარეგულირებელი სფერო, გარემოს დაცვა.

ასევე, მიმდინარეობდა მუშაობა 16 ახალ TWINNING-ის საპროექტო წინადადებებზე, რომელთა განხორციელებაც დაიწყება ეტაპობრივად მომავალი 2 წლის განმავლობაში.

2017 წლის 14-15 სექტემბერს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, განხორციელდა ევროკავშირის პროგრამების TWINNING-ის და TAIEX-ის დესკ-ოფიცერთა სპეციალური მისიის ვიზიტი საქართველოში, რომლის ფარგლებში გაიმართა ინტენსიური კონსულტაციები საქართველოს დარგობრივი უწყებების წარმომადგენლებთან აღნიშნულ პროგრამებში ჩართულობისა და მათი განხორციელებისათვის აუცილებელ პროცედურებთან დაკავშირებით.

განხორციელდა ინტენსიური სამუშაოები ევროკავშირის დახმარების 2018 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ინსტიტუციური განვითარების პროგრამების მეშვეობით საექსპერტო დახმარების დაგეგმვის მიზნით. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილ იქნა კონკრეტული საპროექტო იდეები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში დაგეგმილი რეფორმების გატარებას.

ევროკავშირის მოკლევადიანი ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში 2017 წლის მანძილზე განხორციელდა 17 აქტივობა. კერძოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა თემატური სასწავლო ვიზიტები, ევროპულ ექსპერტთა ვიზიტები, სემინარები და რეგიონალური კონფერენციები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს შესაბამისი დარგობრივი უწყებები.

პროგრამა SIGMA-ს ფარგლებში (ხელშეწყობა მართვისა და მმართველობის სისტემების გაუმჯობესებაში) საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა 5 პროექტის განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავს შესაბამისი საჯარო უწყებების მმართველობის სისტემის განვითარებას.

ჩატარდა ინტენსიური კონსულტაციები ევროკომისიასთან და შესაბამის დარგობრივ უწყებებთან საქართველოს სპეციალურ ე.წ. თანამეგობრობის პროგრამებში მონაწილეობის და ევროკავშირის სპეციალიზებულ სააგენტოებთან თანამშრომლობის მხარდაჭერის მიზნით. მომზადდა და ევროპულ მხარეს გადაეცა სპეციალური ანალიტიკური დოკუმენტი (Policy Paper), რომელშიც ასახულ იქნა ქართული მხარის მიერ იდენტიფიცირებული იმ პროგრამებისა და სააგენტოების ჩამონათვალი, რომლებთანაც თანამშრომლობა პრიორიტეტულია საქართველოს უწყებებისათვის.

2017 წლის 21 მარტს ქ. თბილისში და 23 მარტს ქ. ბათუმში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის (CBC) პროგრამის საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა პროგრამის პოტენციური ბენეფიციარი ორგანიზაციებისათვის კონსულტაციის გაწევას საპროექტო განაცხადების მომზადების თაობაზე. 2017 წელს, აგრეთვე გაიმართა 20-მდე საკონსულტაციო/საინფორმაციო შეხვედრა ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

საანგარიშო პერიოდში ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის (EaPTCP) ფარგლებში წარმატებით მიმდინარეობდა პროექტები საქართველო-სომხეთის ორმხრივი პროგრამის ფარგლებში და დასრულდა პროექტების შერჩევა საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი პროგრამის ფარგლებში.

2017 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შემუშავდა ევროკავშირის დახმარების პროგრამებისა და პროექტების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო (Guidelines).

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ევროკავშირის 2014-2016 წლების ერთიანი ჩარჩო პროგრამის (SSF) მართლმსაჯულების კომპონენტის პილოტური მონიტორინგი, ასევე განხორციელდა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის პილოტური მონიტორინგი.

ჩატარდა კონსულტაციები ევროკავშირის თაღლითობასთან ბრძოლის ოფისთან (OLAF), ასოცირების შეთანხმების მე-VII კარის (თაღლითობის წინააღმდეგ მიმართული დებულებები) იმპლემენტაციის ფარგლებში, საქართველოში შესაბამისი სისტემის ჩამოსაყალიბებლად, როგორც ინსტიტუციონალურ, ასევე საკანონმდებლო დონეზე.

ევროკავშირის ფინანსურ დახმარებებში თაღლითობის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით, 2017 წლის 13-16 თებერვალს და 29-31 მაისს განხორციელდა ევროკავშირის საექსპერტო მისიის ვიზიტი საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის და ინსტიტუციური სისტემის შესწავლას, ევროპული გამოცდილების გაზიარებას და რეკომენდაციების შემუშავებას.

2017 წლის 29-30 ივნისს, განხორციელდა OLAF-ის გენერალური დირექტორის ჯოვანი კესლერის ვიზიტი საქართველოში, რომელმაც შეხვედრები გამართა ყველა შესაბამისი უწყების ხელმძღვანელთან, ხოლო 17-18 ივლისს, საქართველოს შესაბამისი უწყებებისგან დაკომპლექტებული დელეგაცია იმყოფებოდა ქ. ბრიუსელში, სადაც გაიმართა ორმხრივი კონსულტაციები OLAF-ის და ბელგიის თაღლითობასთან ბრძოლის ოფისის (AFCOS) წარმომადგენლებთან.

2017 წლის 15-16 ნოემბერს, განხორციელდა OLAF-ის სპეციალური მისიის ვიზიტი საქართველოში, რომლის ფარგლებში გაიმართა 2 დღიანი სამუშაო შეხვედრა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მე-VII კარის განხორციელებასთან დაკავშირებით, მათ შორის განხილულ იქნა პრაქტიკული ამოცანები სხვა ქვეყნების მაგალითზე და მოხდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მსგავსი სისტემების ოპერირებასთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარება.

8. ინსტიტუციური თანამშრომლობა

8.1 ინსტიტუციური ჩარჩო

2017 წლის 22 ივნისს, ქ. თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მესამე სხდომა. კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორცაა ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, რეგიონული განვითარება, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, მეცნიერება, განათლება და კულტურა.

2017 წლის 6 დეკემბერს, ქ. თბილისში გაიმართა ვაჭრობის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეოთხე სხდომა.

2017 წლის 7 მარტს, ქ. თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის სანიტარულ და ფიტოსანიტარულ საკითხებზე ქვეკომიტეტის მეორე სხდომა;

2017 წლის 18 მაისს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის საბაჟო საკითხებზე ქვეკომიტეტის მე-3 სხდომა.

2017 წლის 9 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის სანიტარულ და ფიტოსანიტარულ საკითხებზე ქვეკომიტეტის მესამე სხდომა;

2017 წლის 17 მაისს, ქ. თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე ქვეკომიტეტის მესამე სხდომა.

2017 წელს, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის თემატური ჯგუფების სხდომები:

- ❖ 2017 წლის 16 მარტს, ქ. თბილისში გაიმართა თემატური ჯგუფის „სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება; მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა; რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე“ მეორე სხდომა;
- ❖ 2017 წლის 17 მარტს, ქ. თბილისში გაიმართა თემატური ჯგუფის „თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში; თანამშრომლობა აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში; თანამშრომლობა კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში; განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა; კულტურის სფეროში თანამშრომლობა; თანამშრომლობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში“ მეორე სხდომა;
- ❖ 2017 წლის 28 მარტს, ქ. ბრიუსელში გაიმართა თემატური ჯგუფის „დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები; საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ მეორე სხდომა;
- ❖ 2017 წლის 29 ივნისს, ვიდუო კონფერენციის მეშვეობით გაიმართა თემატური ჯგუფის „სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა; ტურიზმი; კორპორაციული სამართალი და კორპორაციული

მმართველობა; მომხმარებელთა პოლიტიკა; საგადასახადო პოლიტიკა“ მეორე სხდომა.

- ❖ 2017 წლის 3-4 ოქტომბერს, ქ. თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის მე-3 თემატური ჯგუფის - „ენერგეტიკა; გარემო; კლიმატი; ტრანსპორტი; და სამოქალაქო დაცვა“ რიგით მესამე სხდომა;
- ❖ 2017 წლის 24 ოქტომბერს, ქ.თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის პირველი თემატური ჯგუფის "ეკონომიკური დიალოგი, საჯარო ფინანსების მართვა და ფინანსური კონტროლი; სტატისტიკა; ფინანსური მომსახურება; ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი; თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა და კონტროლი" რიგით მესამე სხდომა.

8.2 სტრატეგიული კომუნიკაცია

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, შემუშავდა და 2017 წლის 13 აპრილს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის“. შესაბამისად, განახლდა ევროკავშირში გაწევრიანების საკითხებზე კომუნიკაციის პოლიტიკა და სტრატეგიას დაემატა ნატოში გაწევრიანების საკითხებზე კომუნიკაციის ელემენტი. ამასთან, შემუშავდა აღნიშნული სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის შესაბამისად, მომზადდა 2017 წლის სამოქმედო გეგმის ნახევარი წლის და წლიური ანგარიშები, დაიწყო მუშაობა 2018 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

2017 წელს, განხორციელდა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხებზე საინფორმაციო კამპანიის მეორე ფაზა. საინფორმაციო კამპანია მოიცავდა მრავალ აქტივობას კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით. კამპანიის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები, ტრენინგები და სემინარები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან. ინფორმაცია ითარგმნა და გავრცელდა ქართულ და ეთნიკური უმცირესობების ენებზე (აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული, სომხური და რუსული). მიმდინარეობს, საქართველო-ევროკავშირის უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული კამპანიის მესამე ფაზის შემუშავება.

2017 წლის 13-14 ივლისს, ქ. ბათუმში გაიმართა მე-14 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა - რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ევროკავშირისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი ქვეყნების, ევროკავშირის ინსტიტუტების, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს წრეების 400-ზე მეტმა წარმომადგენელმა.

8.3 სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა

ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები. მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტში. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგთან დაკავშირებით ქართული მხარის პოზიციის შემუშავებაში.

2017 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გაიმართა მაღალი დონის კონფერენცია „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ამოცანები“. კონფერენციაზე განხილულ იქნა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის აქტუალური საკითხები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა ვალდებულებების შესრულების თაობაზე.